ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ, ᲣᲛᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 3 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1944 �წ. № 222 (7175). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

**ᲡᲐᲭᲣᲠᲕᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲝ, ᲘᲜᲟᲘᲜᲠᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲔᲑᲝ! �გᲐᲐᲓᲘᲓᲔᲗ ᲨᲐᲨᲮᲐᲜᲔᲑᲘᲡ, ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ, ᲢᲧᲕᲘᲐᲛᲤᲠᲥᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ, ᲜᲐᲚᲛᲡᲐᲢᲧᲝᲠᲪᲜᲔᲑᲘᲡ, ᲥᲕᲔᲛᲔᲮᲔᲑᲘᲡ, ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ, ᲕᲐᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ! ᲡᲠᲣᲚᲤᲧᲐᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲗ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲗ. ᲡᲐᲭᲣᲠᲕᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ! ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲝᲚᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ XXVII ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚ ᲛᲔᲠᲔᲪᲙᲝᲕᲡ ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚ ᲒᲝᲠᲝᲕᲝᲕᲙᲝᲡ

ᲙᲐᲠᲔᲚᲘᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ, ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲔᲠᲗᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ, ᲣᲢᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲠᲐ ᲘᲛᲘᲔᲠᲐᲠᲞᲝᲚᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲫᲕᲔᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲞᲔᲩᲔᲜᲒᲘᲡ (ᲞᲔᲢᲡᲐᲛᲝᲡ) ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ �გᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲗᲐᲒᲐᲜ.

ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲜᲘᲜᲘᲠᲔᲓᲔᲮᲐᲖᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲔᲕᲬᲝᲠᲔᲑᲜᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ, ᲣᲢᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲠᲐ ᲘᲛᲘᲔᲠᲐᲠᲞᲝᲚᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲫᲕᲔᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲓᲦᲔᲡ, 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲞᲔᲩᲔᲜᲒᲘᲡ (ᲞᲔᲢᲡᲐᲛᲝᲡ) ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ �გᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲗᲐᲒᲐᲜ.

ᲞᲔᲩᲔᲜᲒᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲩᲜᲔᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ ᲨᲐᲠᲒᲘᲠᲑᲐᲙᲝᲕᲘᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠ ᲐᲑᲡᲐᲚᲘᲐᲛᲝᲕᲘᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠ ᲛᲘᲙᲣᲚᲬᲚᲙᲘᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠ ᲙᲝᲠᲝᲢᲙᲝᲕᲘᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠ ᲨᲣᲙᲝᲕᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲡᲝᲚᲝᲒᲣᲑᲝᲕᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲒᲠᲔᲑᲔᲜᲙᲘᲜᲘᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠ ᲞᲐᲜᲘᲜᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲙᲐᲕᲔᲠᲘᲜᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲙᲝᲜᲝᲨᲘᲜᲘᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠ ᲞᲐᲜᲘᲜᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲚᲘᲡᲔᲜᲙᲝᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲙᲐᲚᲘᲜᲝᲕᲡᲙᲘᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠ ᲮᲣᲓᲐᲚᲝᲕᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲑᲚᲐᲙᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲐᲛᲒᲠᲝᲡᲝᲕᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲡᲝᲚᲓᲐᲢᲝᲕᲘᲡ, ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝ ᲡᲐᲛᲮᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠ ᲙᲣᲡᲢᲝᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ; ᲙᲝᲜᲒᲠ-ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚ ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠ ᲓᲔᲓᲔᲚᲘᲜᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲞᲔᲢᲠᲣᲮᲘᲜᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲞᲐᲢᲐᲙᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲨᲣᲛᲘᲠᲝᲕᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲚᲐᲠᲘᲝᲜᲝᲕᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲤᲘᲜᲝᲒᲔᲜᲝᲕᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲙᲐᲚᲣᲒᲘᲜᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲛᲘᲜᲐᲔᲕᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲞᲣᲨᲙᲐᲠᲔᲕᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲞᲝᲒᲠᲔᲨᲐᲔᲕᲘᲡ, ᲞᲝᲓᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲝᲕᲘᲡ მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ᲮᲠᲔᲜᲝᲕᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲚᲔᲘᲩᲘᲙᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲐᲠᲨᲑᲐᲡ, ᲞᲝᲓᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲖᲐᲮᲐᲠᲝᲕᲘᲡ მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ᲓᲝᲜᲑᲘᲙᲘᲜᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚ ᲔᲙᲘᲛᲝᲕᲘᲡ, სახელმწიფო უშიშროების მაიორ ᲑᲐᲕᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ, მე-2 რანგის კაპიტან ᲞᲝᲚᲝᲜᲝᲛᲙᲘᲡ მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად კარელიის ფრონტის შენაერთები და ნაწილები, აგრეთვე ჩრდილოეთის ფლოტის შენაერთები და ხომალდები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ᲞᲔᲩᲔᲜᲒᲘᲡ ოლქის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 1 ნოემბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ სამშობლოს სახელით ორას ოცდათხუთ ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს კარელიის ფრონტის მამაც ჯარებს და ჩრდილოეთის ფლოტის მეზღვაურებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ᲞᲔᲩᲔᲜᲒᲘᲡ ოლქი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲪᲮᲐᲓᲐᲕ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, აგრეთვე ჩრდილოეთის ფლოტის შენაერთებსა და ხომალდებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ᲞᲔᲩᲔᲜᲒᲘᲡ ოლქის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚ Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

1944 წლის 1 ნოემბერი.

ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘ „ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲔᲓᲐ“ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲘᲒᲔᲚᲔᲑᲘ „ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ“ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

გუშინ, 1 ნოემბერს, კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **მ. ი. კალინინმა** ორდენები **„გმირი დედა“** და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები **„გმირი დედის“** საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადასცა დედათა ჯგუფს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი.

ორდენები **„გმირი დედა“** და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები **„გმირი დედის“** საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადაეცათ **პ. ს. ალექსახინას** — დიასახლისს, მოსკოვის ოლქის პუშკინის რაიონის სოფელ მამონტოვკაში მცხოვრებს; **მ. პ. არკადიევას** — დიასახლისს, ლენინგრადის ოლქის ტიხვინის რაიონის დაბა ბოქსიტოგორსკში მცხოვრებს; **ვ. გ. ასადულინას**—ბაშკირეთის ასსრ ჩიშმის რაიონის ვოროშილოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეს; **ა. მ. ბელოუსოვას** — მოსკოვის ოლქის კოლომნის რაიონის პოდბერეზნიკოვის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეს; **ტ. ს. ᲑᲣᲑᲜᲝᲕᲐ** — სვერდლოვსკის ოლქის ვერხნე-პიშმის რაიონის ტორფმომარაგების სასადილოს მუშას; **ს. ვ. ᲘᲖᲜᲐᲢᲝᲕᲐ** — დიასახლისს, ლენინგრადის მცხოვრებს; **ა. ს. ᲙᲘᲠᲘᲚᲝᲕᲐ** — კალინინის ოლქის ნოტორორუსკის რაიონის არტელ „1 მაისის“ კოლმეურნეს; **მ. მ. ᲠᲘᲣᲙᲝᲕᲐ** — დიასახლისს, ქალაქ ტულის მცხოვრებს; **მ. ე. ᲡᲛᲐᲒᲘᲜᲐ** — დიასახლისს, ქალაქ მოსკოვის კიროვის რაიონში მცხოვრებს, და **ე. პ. ᲡᲝᲚᲓᲐᲢᲝᲕᲐ** — გორკის ოლქის შატკის რაიონის მაქსიმ გორკის სახელობის არტელის კოლმეურნეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **მ. ი. კალინინმა** გულითადად მიულოცა დედებს მაღალი ჯილდო, რომლითაც მთავრობამ აღნიშნა მათი მზრუნველობა და ის უდიდესი შრომა, რაც მათ თავიანთი შვილების აღზრდაზე გასწიეს, უსურვა ჯანმრთელობა და ძალღონე.

გმირმა დედებმა სთხოვეს ამხ. **კალინინს** გადასცეს ამხანაგ **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ**, რომ მადლობას უძღვნიან მას დედებისადმი დიდი მზრუნველობისა და ყურადღებისათვის და უსურვებენ ჯანმრთელობას. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

1 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲙᲐᲠᲔᲚᲘᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ, ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲔᲠᲗᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ, ᲣᲢᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲠᲐ ᲘᲛᲘᲔᲠᲐᲠᲞᲝᲚᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲫᲕᲔᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲡ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲞᲔᲩᲔᲜᲒᲘᲡ (ᲞᲔᲢᲡᲐᲛᲝᲡ) ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲗᲐᲒᲐᲜ.

ᲣᲜᲗᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲜᲘᲜᲘᲠᲔᲓᲔᲮᲐᲖᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲔᲕᲬᲝᲠᲔᲑᲜᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ, ᲣᲢᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲠᲐ ᲘᲛᲘᲔᲠᲐᲠᲞᲝᲚᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲫᲕᲔᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲓᲦᲔᲡ, 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲡ, ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲞᲔᲩᲔᲜᲒᲘᲡ (ᲞᲔᲢᲡᲐᲛᲝᲡ) ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲗᲐᲒᲐᲜ.

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘᲗ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ, ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲔᲑᲡ ᲢᲘᲡᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲣᲜᲐᲘᲡ ᲨᲣᲐ, დაიკავეს კომუნიკაციების დიდი კვანძი—ქალაქი ᲙᲔᲩᲙᲔᲛᲔᲢᲘ, ქალაქი და რკინიგზის საკვანძო სადგური ᲙᲘᲨᲙᲔᲠᲔᲨᲘ, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ᲨᲘ-ᲙᲔᲩᲙᲔ, ᲚᲐᲘᲜᲘᲨᲜᲘᲔᲗ, ᲙᲔᲩᲠᲔᲙᲔᲓᲔᲚᲘᲡᲗᲐᲜ, ᲨᲐᲚᲢᲘᲨᲐᲕᲐᲙᲔᲠᲢᲘ, ᲙᲔᲩᲔᲚᲘ, ᲮᲐᲠᲢᲐ, ᲓᲣᲜᲐᲪᲐᲢᲐᲜ, ᲒᲔᲓᲔᲠᲚᲐᲪᲘ, ᲨᲣᲚᲝᲓᲔ. 31 ოქტომბერს მდინარეებს ᲢᲘᲡᲐᲡᲐ და ᲓᲣᲜᲐᲘᲡ შუა ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 1.500 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამრიგად, 31 ოქტომბრის ბოლოს ჩვენი ჯარების მიერ მდინარეებს ᲢᲘᲡᲐᲡᲐ და ᲓᲣᲜᲐᲘᲡ შუა ტყვედ წამოყვანილ გერმანელ და უნგრელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა რიცხვი 5.518 კაცამდე გაიზარდა. აეროდრომზე ᲘᲨᲐᲙᲘᲡ რაიონში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის 48 თვითმფრინავი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

31 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 129 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 20 თვითმფრინავი.

2 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

2 ნოემბრის განმავლობაში უნგრეთის ქალაქ ᲜᲘᲜᲘᲠᲔᲓᲔᲮᲐᲖᲘᲡ ჩრდილოეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, შეტევითი ბრძოლების შედეგად, მთლიანად გასწმინდეს მოწინააღმდეგისაგან მდინარე ᲢᲘᲡᲘᲡ მარცხენა ნაპირი, ამასთან დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ᲑᲘᲣᲓ-ᲡᲔᲜᲢ-ᲛᲘᲮᲐᲚᲘ, დიდი დასახლებული პუნქტები და რკინიგზის სადგურები ᲢᲘᲡᲐ-ᲓᲐᲓᲐ, ᲢᲘᲡᲐ-ᲓᲝᲜᲑᲘ, ᲙᲝᲚᲑᲐᲠᲘ.

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘᲡ მიმართულებით მდინარე ᲢᲘᲡᲐᲡᲐ და ᲓᲣᲜᲐᲘᲡ შუა ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ᲜᲐᲓᲙᲔᲠᲔᲨᲘ, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ᲘᲐᲡᲙᲐᲠᲐᲜᲔᲗ, ᲙᲝᲩᲔᲠᲘ, ᲢᲐᲢᲐᲠᲘᲡᲔᲜᲔᲗᲓᲘᲔᲠᲓᲘ, ᲙᲣᲜᲡᲔᲜᲢᲛᲘᲪᲚᲝᲨᲘ, ᲡᲐᲑᲐᲓᲚᲐᲡᲐᲨᲘ, ᲤᲘᲚᲘᲠᲘᲡᲚᲐᲡᲐᲨᲘ, ᲩᲔᲜᲒᲔᲓᲘ, ᲐᲪᲐᲡᲢᲝ და რკინიგზის სადგურები ᲓᲔᲛᲨᲕᲔᲓᲘ, ᲜᲐᲓᲐᲚᲐᲨᲘ, ᲤᲘᲚᲘᲠᲘᲡᲚᲐᲡᲐᲨᲘ, ᲩᲔᲜᲒᲔᲓᲘ. 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ მდინარე ᲢᲘᲡᲐᲡᲐ და ᲓᲣᲜᲐᲘᲡ შუა ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს ორი ათასი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამრიგად, 1 ნოემბრის ბოლოსათვის გერმანელი და უნგრელი ტყვე ჯარისკაცებისა და ოფიცრების რაოდენობა, რომლებიც ჩვენმა ჯარებმა მდინარე ᲢᲘᲡᲐᲡᲐ და ᲓᲣᲜᲐᲘᲡ შუა ხელთ იგდეს, 7.518 კაცამდე გადიდდა. ჩვენს ჯარებს ტყვედ დანებდა უნგრეთის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ᲘᲐᲜᲝᲨ ᲕᲔᲠᲔᲨᲘ.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

1 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 98 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 17 თვითმფრინავი.

* * *

უნგრეთში, ქალაქ ნინირედხაზის ჩრდილოეთით, ჩვენი ჯარები, რომლებიც სდევნიან მოწინააღმდეგის დამარცხებულ ნაწილებს, ფართო ფრონტით მიადგნენ მდინარე ტისას. გერმანელებსა და უნგრელებს გადასასვლელებზე მივუსწარით და მძიმე ზარალი მივაყენეთ. წამოყენილია ბევრი ტყვე. ქალაქ ნინირედხაზის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, სწრაფი იერიშის შედეგად, დაიკავეს ქალაქი ბიუდ-სენტ-მიხალი. ტისა-დობისა და პოლგარის რკინიგზის სადგურებზე გარშემორტყმული და მოსპობილია მოწინააღმდეგის გარნიზონები. ამ რაიონში საბჭოთა ნაწილებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ 20 კილომეტრით და აგრეთვე მიადგნენ მდინარე ტისას. გერმანელებმა და უნგრელებმა ჩვენი ჯარების დარტყმებით უკან დაიხიეს და ბევრი საჭურველი მიატოვეს. მარტო ერთ უბანზე 5 ნაწილის მებრძოლებმა ხელთ იგდეს 28 ქვემეხი, 60 ტყვიამფრქვეული, რამდენიმე საწყობი სამხედრო მასალიანად და დიდი ოდენობა სამხედრო ქონებიანად.

* * *

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘᲡ მიმართულებით, მდინარე ᲢᲘᲡᲐᲡᲐ და ᲓᲣᲜᲐᲘᲡ შუა, ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატების შეტევას. ქალაქ ნადკერეშის მისადგომებზე მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ორი პოლკი ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ დახმარებით ცდილობდა კონტრიერიშებით შეეჩერებინა ჩვენი ქვეგანყოფების წინსვლა. საბჭოთა ნაწილებმა კონტრდარტყმით უკუაქციეს გერმანელები და უნგრელები და დაიკავეს ქალაქი ნადკერეში. ბრძოლის ველზე დარჩა ჰიტლერელთა ბევრი გვამი. გაფთრებული ბრძოლები მოხდა აგრეთვე კეჩკემეტ-ბუდაპეშტის გზატკეცილის რაიონში. მოწინააღმდეგე ცდილობს უნგრეთის დედაქალაქისაკენ მიმავალი გზა გაოაოოო

მ. ი. კალინინი

წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებანი

საბჭოთა წყობილების არსებობის ოცდამეშვიდე წელი ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი წელია ჩვენი ხალხის ისტორიაში. გერმანელ ფაშისტთა ურდომ, რომელიც ჩვენი სამშობლოს ფარგლებში შემოიჭრა, რათა დაემონებინა იგი, მთელი რიგი გადამწყვეტი დამარცხებანი განიცადა. წითელმა არმიამ განდევნა გერმანელი დამპყრობლები ჩვენი მიწა-წყლიდან.

ჩვენმა ჯარებმა ზედიზედ აგებეს ჰიტლერელებს გამანადგურებელი დარტყმები და შეტევის შსვლელობაში მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე შევიდნენ ჩვენი სახელმწიფოს მიჯნებს იქით. ისინი შეტევითს ბრძოლებს ეწევიან აღმოსავლეთ პრუსიაში. წითელი არმია ასრულებს თავის დიად განმათავისუფლებელ მისიას, იგი გერმანელ დამპყრობთაგან სწმენდს პოლონეთს, იუგოსლავიას, ჩეხოსლოვაკიას, ნორვეგიის ჩრდილოადმოსავლეთ რაიონებს.

წითელი არმიის გამარჯვებათა მეოხებით ფაშისტური გერმანიის ყოფილი ვასალები — რუმინეთი, ბულგარეთი, ფინეთი — არათუ გამოვარდნენ ჰიტლერული ბლოკიდან, არამედ გერმანელების წინააღმდეგაც კი მიმართეს თავიანთი იარაღი. ალბათ გერმანია მალე დაკარგავს უნგრეთსაც, რომლის ტერიტორიაზეც საბჭოთა ჯარები წარმატებითს შეტევას ეწევიან.

ეს შედეგები, რა თქმა უნდა, ციდან ჩამოვარდნილი როდია. თათ მიღწევა შეეძლო მხოლოდ დიდ არმიას, დიდ ხალხს. ამ გამარჯვებებს საფუძვლად აქვს მთელი საბჭოთა ხალხის თავდადება და გმირობა, წითელი არმიის მამაცობა და მხედრული ოსტატობა, ამხანაგ სტალინის გენიო, და ჩვენი სამშობლოს ყოველ მოქალაქეს, წითელი არმიის ყოველ მეომარს არ შეუძლია არ იამაყოს თავისი ხალხით—ძლევამოსილი ხალხით.

1944 წლის 23 თებერვალს ამხანაგმა სტალინმა ბრძანა: „მთელმა წითელმა არმიამ ცეცხლისა და მანევრის უნარიანი შეხამებით გასტეხოს მტრის თავდაცვა მთელ მის სიღრმეზე, არ მისცეს მტერს ამოსუნთქვის საშუალება, თავის დროზე უყოს ლიკვიდაცია მტრის ცდებს კონტრიერიშებით შეაჩეროს ჩვენი შეტევა. უნარიანად მოაწყოს მტრის დევნა, არ მისცეს მას საშუალება გაიტანოს ტექნიკა, გაბედული მანევრით შემოუაროს მტრის ჯარების ფლანგებს, შერჩრას მის ზურგში, გარს შემოერტყას მოწინააღმდეგის ჯარებს, დაეშუცბაოს ისინი და მოსპოს, თუ იარაღის დაყრაზე უარს ამბობენ“.

იდეები, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა ამ ბრძანებაში მოგვცა, მას წინანდელ ბრძანებებშიც აქვს გამოთქმული, რაც მოწმობს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი მანევრულ მოქმედებას. და ეს ბრძანი გახდა კუთვნილება ჩვენი ოფიცრებისა და გენერლებისა, რომელთა ხელმძღვანელობითაც წითელი არმიის ნაწილები შესანიშნავ სამხედრო საქმეებად აქცევდნენ მათ. ჩვენი ჯარების მიერ ბრწყინვალედ შესრულებული მანევრების მეოხებით გერმანელები ბევრჯერ ჩავარდნილნ კრიტიკულ მდგომარეობაში, გაუცდიათ გარემოცვა.

მარტო უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების შეტევის განმავლობაში 1943 წლის 24 დეკემბრიდან 1944 წლის 13 იანვრამდე გერმანელებმა დაკარგეს 100 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა სახით და უამრავი სამხედრო ტექნიკა. თებერვალში უკრაინის მე-2 და 1-ლმა ფრონტებმა განადგურეს გერმანელთა დიდი დაჯგუფებანი კორსუნ-შევჩენკოვსკისთან; მარტში უკრაინის მე-2 ფრონტმა განადგურა დიდი სატანკო ძალები უმანთან, ხოლო უკრაინის მე-3 ფრონტმა — გერმანელთა მეექვსე არმია გენერალ-პოლკოვნიკ ჰოლიდტისა.

ცოტი უფრო ადრე ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა, ვოლხოვის ფრონტის ჯარებთან ერთად, ფართოდ გამოიყენეს შემოვლითი მანევრები და ბრწყინვალე ოპერაცია ჩაატარეს ჩვენელ ფაშისტთა ჯარების გასანადგურებლად ლენინგრადთან. ჩვენი ჯარების დარტყმების გამო განადგურებულ იქნა გერმანელთა უძლიერესი თავდაცვა, რომელაც თვითონ ისინი მიუვალ და დაუძლეველ „ჩრდილოეთის ზღუდედ“, ლენინგრადის ბლოკადის „ფოლადის რკალად“ სთვლიდნენ.

ამ ოპერაციაში დამარცხება მივაყენეთ გერმანიის მე-18 არმიის ძირითად ძალებს. განადგურებულ იქნა გერმანიის არმიის მთავარი სარდლობის მძიმე არტილერიის დიდი საარტილერიო დაჯგუფება, რომელიც უშენდა ლენინგრადს და რომელიც აღჭურვილი იყო 150-დან 406 მილიმეტრამდე ყალიბის 320 ქვემეხით.

და თითქმის მთელი შემდგომი დროის განმავლობაში, დღევანდლამდე, წითელი არმია განუწყვეტლივ ეწევა ოპერაციებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს გაბედული და გადამწყვეტი მანევრი.

წითელი არმიის შეტევითი ხელოვნების ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს ყირიმის ოპერაცია, რომელიც ჩაატარეს უკრაინის მე-4 ფრონტმა და ზღვისპირეთის ცალკე არმიამ. გერმანელთა დამპყრობლურ გეგმებში ყირიმს განსაკუთრებული როლი ჰქონდა მინიჭებული. მათ ყირიმის პლაცდარმი კავკასიის ციხიჭედ, კასპიის ზღვის, ბაქოს ნავთის გასაღებად მიიჩნდათ.

ყირიმში გერმანელ ფაშისტთა ჯარები თითქმის სავსებით მოსპობილ იქნენ. მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 50 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა სახით და 61.587 — ტყვეთა სახით, აგრეთვე 299 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 578 თვითმფრინავი, 3.079 ქვემეხი, 7.036 ავტომანქანა და ბევრი სხვა სამხედრო ტექნიკა. ჩაძირულია მტრის 191 გემი.

1944 წლის ზამთრულში ოთხი ფრონტის — ბელორუსიის 1-ლი, მე-2 და მე-3 და ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის — მჭიდრო თანამშრომლობით ბელორუსიაში ჩატარებულ იქნა შესანიშნავი ოპერაციები, რომლებმაც მთელი სამოქალაქო შიურყიის გერმანელთა ფრონტს. შედეგად განიგურებულ იქნა მოწინააღმდეგის ჯარების მთელი ცენტრალური დაჯგუფება და განთავისუფლებულ იქნა საბჭოთა ბელორუსიის დიდაქალაქი მინსკი და საბჭოთა ლიტვის დედაქალაქი ვილნიუსი. ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა შეტევის წარმატება განავითარეს, პოლონეთში შევიდნენ და ვისლას მიადგნენ.

გერმანელთა ზარალი წითელი არმიის შეტევის მარტო პირველი თვის მანძილზე შეადგენს: მოკლულთა სახით 381.000-ზე მეტ კაცს, ტყვეთა სახით 158.480 ჯარისკაცსა და ოფიცერს (მათ შორის არის 22 გერმანელი გენერალი), 631 თვითმფრინავს, 2.735 ტანკსა და თვითმავალ ქვემეხს, 8.702 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხს, 5.695 ნაღმსატყორცნს, 23.071 ტყვიამფრქვევს, 57.152 ავტომანქანას.

1944 წლის ზაფხულში დიდი წარმატება მოიპოვეს უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებმაც უდიდესი ზარალი მიაყენეს მტერს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ისინი გარს შემოერტყნენ და გაანადგურეს მოწინააღმდეგის შენაერთები ბროდთან და ლვოვთან, გაათავისუფლეს ლვოვი და პერეშილი, შეიჭრნენ სამხრეთ პოლონეთში და დაიპყრეს მნიშვნელოვანი პლაცდარმი ვისლის დასავლეთ ნაპირზე.

გერმანიის სარდლობა ჯერ გონს ვერ მოსულიყო დასავლეთ უკრაინაში თავისი ცენტრალური დაჯგუფების და თავისი არმიების განადგურების შემდეგ, რომ უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების ჯარებმა გამანადგურებელი დარტყმა აგებეს გერმანელ-რუმინელთა არმიებს იასი-ბენდერის რაიონში. ამ დარტყმამ გათავისუფლა მოლდავეთის სს რესპუბლიკის დედაქალაქი კიშინიოვი. 31 აგვისტოს კი წითელი არმია რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში შევიდა.

სამხრეთში 20 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევის მსვლელობაში, რომელიც დამთავრდა გერმანელთა ჯარების „სამხრეთ უკრაინის“ ჯგუფში შემავალი გერმანელთა ახლად (უკვე მეკამეჯერ) შედგენილი მე-6 და მე-8 არმიების გარშემორტყმითა და განადგურებით, მარტო გერმანელთა ჯარების ზარალი შეადგენდა: მოკლულთა და ტყვეთა სახით 256.000 ჯარისკაცსა და ოფიცერს, 338 თვითმფრინავს, 830 ტანკს და თვითმავალ ქვემეხს, 3.500 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხს, 33.000 ავტომანქანას.

წითელი არმიის ამ გამარჯვებას შედეგად მოჰყვა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში გერმანელთა პოზიციების განადგურება.

უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების ოპერაცია, რომელიც ჩატარდა უმაღლესი მთავარსარდლობის გეგმით, ერთ-ერთი ყველაზე დიდი და თვალსაჩინო ოპერაციაა ამ ომში თავისი სტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობით.

წითელი არმიის შესანიშნავ ოპერაციებს გულმოდგინედ შეისწავლიან გენერალური შტაბები და სამხედრო აკადემიები. უკვე ამჟამად წითელი არმიის გამარჯვებებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს და დიდი ლიტერატურა, წარმოშვეს საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ, სადაც ცდილობენ გაიგონ, თუ რაში მდგომარეობს წითელი არმიის ძალა.

სხვათა შორის, გერმანიის სამხედრო მიმომხილველნი, რომელთაც არ ძალუძთ მიჩქმალონ თავიანთი არმიის დამარცხება, ჩვენი ჯარების მიერ ჩატარებულ ყოველ მარჯვე ოპერაციას ხსნიან უდიდესი რიცხვობრივი სიჭარბით ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. ეს აშკარა სიცრუეა. წითელი არმია იმარჯვებს არა მარტო რიცხვით და ტექნიკის სიჭარბით, არამედ უმთავრესად თავისი ოსტატობით — ჩვენი მებრძოლის — წითელარმიელის უპირატესობით გერმანელის წინაშე. ჩვენი ოფიცრისა და გენერლის ზოგადი და უწინარეს ყოვლისა სამხედრო კულტურულობით, რომელიც გაცილებით სჭარბობს გერმანელს, და წითელი არმიის უმაღლეს მთავარსარდლობის ხელოვნებით, რის აღიარებაც გერმანელ გენერლებსა და გერმანიის მთავარ შტაბს, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად უჭირთ. მაგრამ ფაქტები ჯიუტი რამეა და მათ ვერაფერთაი სიტყვიერი მანქანებით ვერ მიაფუჩეჩებ.

როცა გერმანელთა ურდოები საბჭოთა კავშირის ფარგლებში შემოიჭრნენ, ფაშისტთა მეთაურები ამბობდნენ, ჩვენს ზურგს უკან 250-მილიონიანი მოსახლეობაა. და მართლაც, გარდა ომის უშუალო მონაწილეებისა და გერმანელთა ვასალებისა — იტალიის, რუმინეთის, უნგრეთისა და ფინეთისა, გერმანელები მხეცურ ექსპლოატაციას უწევდნენ პირდაპირ მთელ კონტინენტურ ევროპას.

მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ის, რომ საბჭოთა კავშირზე გერმანელთა თავდასხმის უეცრობამ საშუალება მისცა მტერს სწრაფად დაეკავებინა საბჭოთა კავშირის დასავლეთი ოლქების მნიშვნელოვანი და ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ნაწილი, სადაც ჩვენ ვერ მოვახდინეთ ადამიანთა მობილიზაცია. მაშასადამე, თუ ერთმანეთს შევადარებთ ერთი და მეორე მხარის ომის დასაწყისისდროინდელი მოსახლეობის რიცხვს, ეს რიცხვი აშკარად გერმანელთა სასარგებლო აღმოჩნდება. წინათ ამას თვითონ გერმანელებიც გაყვიროდნენ.

ამჟამად გერმანელი პუბლიცისტები, ცდილობენ რა გადაარჩინონ ფაშისტთა არმიის სამხედრო პრესტიჟი, ჩვენი ჯარების რიცხობრივ სიჭარბეზე ყბედობენ. მაგრამ თუ ჩვენმა უმაღლესმა სარდლობამ მოახერხა თავის სასარგებლოდ შეეცვალა ძალთა თანაფარდობა, ეს უწინარეს ყოვლისა იმას მოწმობს, რომ ჩვენი სამხედრო სისტემა, ჩვენი სამხედრო ხელოვნება სჯობია გერმანულს. თუ ჩვენი უმაღლესი სარდლობა ახერხებს გერმანელთა სარდლობის ცხვირწინ უდიდესი რიცხობრივი სიჭარბით დააგროვოს თავისი ჯარები ფრონტის ამა თუ იმ უბანზე და ამით დამარცხება მიაყენოს გერმანელთა ნაქებ ჯარებს, გერმანელთა სარდლობის ამაზე მეტ გაწბილებას ხომ ვერც კი მოიფიქრებს ადამიანი, ვინაიდან სარდლობის ოსტატობაც ის არის, რომ დარტყმის მთავარ მიმართულებაზე ფარულად შეჰქმნას ძალთა უპირატესობა.

წითელი არმიის მიერ მოპოვებულ გამარჯვებათა ერთ-ერთ ძირითად მიზეზს შეადგენს სწორედ ჩვენი უმაღლესი სარდლობის უდიდესი სამხედრო ხელოვნება, რაც ამჟამად ცხადია მთელი მსოფლიოსათვის. ჩვენი ხალხი დიდად აფასებს ამ ხელოვნებას და მან საბჭოთა არმიების უმაღლესი მთავარსარდალი ამხანაგი სტალინი „გამარჯვების“ ორდენით დააჯილდოვა განსაკუთრებული დამსახურებისათვის წითელი არმიის იმ შეტევითი ოპერაციების მოწყობისა და ჩატარების საქმეში, რომლებსაც შედეგად მოჰყვა გერმანიის არმიის უდიდესი დამარცხება და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე მდგომარეობის ძირიანად შეცვლა წითელი არმიის სასარგებლოდ.

ჩვენი ჯარების წარმატებათა და წითელი არმიის საბრძოლო ოსტატობის ანალიზის დროს არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საბჭოთა მებრძოლისა და მეთაურის ძირითად თვისებას — მათს მაღალ დისციპლინიანობას.

გერმანელ ჯარისკაცს დისციპლინიანობა სჩვევია. მაგრამ გერმანული დისციპლინა მექანიკური და ცემა-ტყეპის დისციპლინაა, რომელიც ჯერ კიდევ ფრიდრიხ II-ის დროიდან ინერგება.

დისციპლინა წითელ არმიაში შეგნებული დისციპლინაა, ის დისციპლინა, რომელიც ინიციატივას კი არ უხშობს მეთაურსა და მებრძოლს, არამედ პირიქით, თან ახლავს ამ ინიციატივას. გერმანელთა არმიაში თითქმის არ არის ისეთი შემთხვევა, რომ რიგითს ჯარისკაცს მოკლული ასმეთაურის ადგილი დაეკავებინოს, ჩვენში კი ეს საკმაოდ ხშირი მოვლენაა, რაც სამხედრო ცნობებსა და პრესაში აღინიშნება ხოლმე. ჩვენს არმიაში გაკვირვებას არ იწვევს ის, რომ ბევრი მათგანი, ვინც ომში წითელარმიელად წავიდა, უკვე კაპიტანი და პოლკოვნიკიც კი გახდა. ეს, რასაკვირველია, იმასაც მოწმობს, რომ ჩვენს არმიაში მოიპოვება არა მარტო მამაც, არამედ კულტურულ, მცოდნე და მეთაურის თანამდებობისათვის გამოსადეგ ადამიანთა მნიშვნელოვანი ფენაც.

მთლიანად ჩვენი არმიის მაღალმა კულტურულობამ მისცა მას იმის შესაძლებლობა, რომ, ასრულებს რა თავისი უმაღლესი მთავარსარდლის მითითებებს, განუწყვეტლივ ისწავლოს ომის მსვლელობაში, აუმჯობესოს თავისი სამხედრო ხელოვნება. და ხალხი, რომელსაც ესოდენ მხურვალედ უყვარს თავისი არმია, სიამაყით ახსენებს არა მარტო ცალკეულ გმირებს, არამედ მთელ სამხედრო ნაწილებსაც, რომლებმაც დიდი სახელი მოიხვეჭეს თავიანთი საგმირო საქმეებით. მოვიყვანოთ მაგალითები.

გვარდიის 1-ლი სატანკო ბრიგადა. ჯერ კიდევ 1941 წლის შემოდგომაზე ორიოლთან იგი, მე-4 სატანკო ბრიგადის სახელწოდებით, ბრწყინვალედ იგერიებდა გუდერიანის სატანკო ურდოების მოძალებას, რომლებიც ცდილობდნენ მოსკოვისაკენ გამოჭრილიყვნენ. მოსკოვთან ბრძოლებში ბრიგადამ მიიღო გვარდიელის სახელწოდება. მისი სახელოვანი საბრძოლო გზა ასეთია: პოდმოსკოვიე-კურსკის რკალი-დნეპრი-დნესტრი-პრუტი და კარპატის მთები. ამ გზაზე ბრიგადას დამარცხება არ უნახავს. გვარდიელი ტანკისტები მოწინააღმდეგეს ამარცხებდნენ ყოველი ბრძოლის ორგანიზაციის სიზუსტით, დარტყმების უეცრობითა და გამანადგურებელი ძალით, თავიანთი ტაქტიკის უპირატესობით. კარპატების მთის ძირებისაკენ რომ გაეშურა, ბრიგადამ სწორი გზით შვიდი დღე-ღამის განმავლობაში 300-ზე მეტი კილომეტრი გაიარა. იგი დაჯილდოებულია ოთხი ორდენით.

გენერალ-მაიორ გლადიშევის როსლავლის დივიზია ხუთჯერ იყო მოხსენიებული უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებში და დაჯილდოებულია ორდენებით. მტრის წინააღმდეგ განუწყვეტელ ბრძოლებში განსაკუთრებით მოკლე ხნის მანძილზე გაიარა მან 600-დე კილომეტრი ბელორუსიისა და ლიტვის მინდვრებსა და ტყეებში.

გენერალ რუსიანოვის დივიზიამ დაიწყო საბჭოთა გვარდიული შენაერთების სახელოვანი სია. სტალინგრადიდან დონბასსა და დნეპრზე გადის დასავლეთისაკენ მიმავალი მისი ძლევამოსილი გზა. დივიზია სამჯერ აღინიშნა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებში.

გვარდიის პოლკოვნიკ აფანასიევის პოლკმა, რომელიც მონაწილეობდა კარელიის ყელზე ლენინგრადის ფრონტის ჯარების შეტევაში, თერთმეტ დღეში გაიარა სახელოვანი და ძნელი გზა ფინელთა თავდაცვის მოწყობილ ხაზის მისადგომებიდან ვიბორგამდე. პოლკმა, რომელიც უტევდა ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაგებ უბანზე ფაშისტთა ძლიერი თავდაცვის სამი ხაზის გარღვევის დროს, მთელი პირადი შემადგენლობის შესანიშნავი საბრძოლო გაწვრთნილობა და გმირობა დაგვანახვა. პოლკის მეთაურს გვარდიის პოლკოვნიკ აფანასიევს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ჯავშანკატერთა გვარდიულმა დივიზიონმა, რომელიც ამჟამად მე-2 რანგის კაპიტან დერეკაევის ბრიგადაში შედის, თავისი საბრძოლო გზა დაიწყო ვოლგაზე, სტალინგრადთან, იბრძოდა აზოვის ზღვაზე, დესანტები გადასხა ყირიმში, ელტიგენთან და ქერჩში, შემდეგ წითელი არმიისა და იუგოსლავიის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად მონაწილეობდა ბელგრადის განთავისუფლებაში. ამჟამად დივიზიონი დუნაიზე იბრძვის; მან ჩვენი შეტევის ორი წლის მანძილზე შესანიშნავი გზა გაიარა ვოლგიდან დუნაის შუა მუხლამდე, სტალინგრადიდან ბელგრადამდე.

შეიძლებოდა დიდხანს განგვეგრძო ჩვენი სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შენაერთების საგმირო საქმეებისა და სახელების ჩამოთვლა, მაგრამ ზემომოყვანილი მაგალითებიც საკმაოდ მოწმობენ მთლიანად წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო თვისებებს.

წითელი არმიის გამარჯვებანი შესანიშნავია არა მარტო სამხედრო ხელოვნებით ყოველი ცალკეული ოპერაციის ჩატარებაში, არამედ უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ ერმად მოფიქრებული მთელი სტრატეგიული გეგმითაც.

მანევრული ომის მეთოდები მოითხოვენ არა მარტო სამხედრო საქმის ღრმა ცოდნას, არამედ ჯარის მეთაურთა ნიჭსაც. ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენმა არმიამ ყველა გამარჯვება მოიპოვა ოსტატური და ნიჭიერი მანევრული ოპერაციების შედეგად, რომელთა მაგალითებიც ზემოთ მოვიყვანეთ.

რა თქმა უნდა, ასეთი ოპერაციები უმაღლესი მთავარსარდლობისაგან და ჩვენი შტაბებისა—არმიების, დივიზიების და სხვ. შტაბების — ხელმძღვანელობისაგან მოითხოვდნენ უდიდეს ინტელექტუალურ დაძაბვასა და უდიდეს ორგანიზაციულ მოსამზადებელ მუშაობას. ცხადია, ასეთი ოპერაციები სათანადო მატერიალური საშუალებებითაც უნდა ყოფილიყო გამაგრებული და ეს ოპერაციები მართლაც იყო გამაგრებული ასეთი საშუალებებით. ჩვენი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია—მთელი ჩვენი ხალხი ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით ჰქმნიდა და ჰქმნის გმირულ შრომითს საქმეებს, რომლებსაც საბჭოთა ადამიანები დიდხანს მოიგონებენ და რომლებიც პატრიოტიზმის ნიმუში იქნება ჩვენი ქვეყნის შემდგომ თაობათათვის.

წელს გერმანიის ჯარებს მძიმე დამარცხებები მიაყენეს მოკავშირეთა არმიებმა, რომლებმაც ფართოდ განავითარეს თავიანთი მოქმედება და გააქარწყლეს ფაშისტური ბლეფი დასავლეთის საზღვრების მიუვალობის შესახებ. მოკავშირეთა ჯარებმა მოკლე ვადებში არა თუ გადასხეს თავიანთი ჯარები საფრანგეთის ტერიტორიაზე, არამედ დიდი მანძილიც გაიარეს, თითქმის სავსებით გაათავისუფლეს საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, ჰოლანდიის მნიშვნელოვანი ნაწილი და გერმანიის ტერიტორიაზე შევიდნენ.

გერმანელებს შეუძლიათ იმით „ინუგეშონ“ თავი, რომ მათი კომუნიკაციები შემოკლდა. მართლაც, ჩვენი ჯარები აღმოსავლეთიდან, ხოლო მოკავშირეთა ჯარები დასავლეთიდან ისწრაფვიან მაქსიმალურად შეამოკლონ მათი კომუნიკაციები. მაგრამ სიეჭვოა, რომ ეს გერმანიისათვის სასარგებლო გამოდგეს. ეჭვი არ არის, რომ მალე გერმანელები საერთოდ სრულიად უკომუნიკაციოდ დარჩებიან.

აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელებმა კიდევ ერთი არსებითი „შემსუბუქება“ ჰპოვეს, რის შესახებაც ლაპარაკობენ გერმანელი პუბლიცისტები,—მათ ზურგში ახლა აღარ იქნებიან პარტიზანები—ეს საშინელება მათი არმიისათვის. აი, ბოლოს, როდის აღიარეს გერმანელებმა პარტიზანული რაზმების ძალა და ის ზარალი, რომელიც ამ რაზმებმა გერმანიის არმიას მიაყენეს. გერმანელებმა „თავი დააღწიეს“ პარტიზანებს, ისევე, როგორც იმ ტერიტორიებს, სადაც პარტიზანები მოქმედებდნენ. მაგრამ მათ არ უნდა დაივიწყონ ის თორმეტი მილიონი უცხოელი მონა-მუშა, რომლებიც მათ ევროპის ყველა კუთხიდან შირეკეს და თავიანთვის ამუშავებენ. ეს საკმაოდ საშიში საწვავი მასალაა, რომელმაც შესაძლოა ხელი არ დააყაროს გერმანელ მონათმფლობელებს.

ჩვენს ხალხსა და წითელ არმიას კმაყოფილებით შეუძლიათ უყურონ იმ შრომითსა და სამხედრო გზას, რომელიც წელს განვლეს. მათი შრომა და სამხედრო მამაცობა ასეეცდ არის ანაზღაურებული. ჩვენი სამხედრო ნაწილები უკვე შეეიდნენ გერმანიის ფარგლებში. ნაპოლეონის ომების დროიდან მოწინააღმდეგის ჯარები პირველად შედიან გერმანიის მიწა-წყალზე და გერმანელი ობივატელი საკუთარ ტყავზე გრძნობს ომს თავის სახლში.

ჩვენი არმია მარტო ჩვენში როდი უყვართ, ვან უდიდესი ავტორიტეტი, პატივისცემა და, —გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას,—მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სიყვარული დაიმსახურა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც და ამასთან ერთად უაღრესად გიზარდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მნიშვნელობაც.

ჩვენი ტერიტორიის სრული განთავისუფლებით როდი მთავრდება ომი. ჩვენი წითელი არმიის პირისპირ დგას მძიმე დამარცხებებით გაბოროტებული მტერი, რომელსაც კიდევ მოეპოვება მნიშვნელოვანი ძალები ჩვენს ფრონტზე. თავისი საბოლოო დაღუპვის წინ იგი კიდევ უფრო გააფთრებით დაიწყებს წინააღმდეგობის გაწევას. ამიტომ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს ამხანაგ სტალინის სიტყვები: „მაგრამ შეუწყნარებელი სიბეცე იქნებოდა—მიღწეული წარმატებებით დავმშვიდებულიყავით და გვეფიქრა, რომ გერმანიის ჯარებს უკვე ბოლო აქვთ მოღებული. ეს საბჭოთა ადამიანების შეუფერებელი, ფუჭი ბაქიობა და ამპარტავნობა იქნებოდა. არ უნდა დავიიწყოთ, რომ წინ კიდევ ბევრი სიძნელე მოგველის“.

ამიტომ ამჟამადაც წითელი არმიის ყოველ მეომარს მოეთხოვება მთელი ფიზიკური და მორალური ძალების დიდი დაძაბვა, უდიდესი თავდადება და უსაზღვრო მამაცობა.

თუმცა ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები ადვილი არ არის, მაგრამ არმია, რომელიც სამ წლის მანძილზე შეეჩვია გერმანელთა დამარცხებას, მთელ ღონისძიებას იხმარებს, რომ საბოლოოდ გაანადგუროს მტერი მისსავე საკუთარ ტერიტორიაზე.

რის იმედი აქვთ გერმანელებს? საეჭვოა, რომ ისინი ფიქრობდნენ ამ ომში თავი გადაირჩინონ საბჭოელთ საშუალებებით. ყველა ცნობის მიხედვით, ისინი ოცნებობენ ამისათვის გამოიყენონ პოლიტიკური ღონისძიებანი. შემთხვევითი როდია, რომ მათი მთავარი მქადაგებელი სიცრუისა, ცილისწამებისა და მოტყუებისა—გებელსი თითქმის ომის პირველი დღეებიდანვე ცდილობს იპოვოს ხვრელი მოკავშირეთა შორის უთანხმოების შესატანად. მაგრამ გერმანიაში ფაშისტთა ბატონობის თერმიტმა წელმა—უკლებლივ ყველა ქვეყნისადმი ვერაგობით აღსავსე პერიოდმა—მთელი მსოფლიოს უაღრესად ფართო მასების წინაშე გამოამეღავნა, რომ ამ ადამიანებს ოდნავაც არ შეიძლება რაიმეში ენდო. და პოლიტიკის დარგში ისინი ისევე საბოლოოდ დამარცხდებიან, როგორც ფრონტებზე.

შორს აღარ არის ის დღე, როცა საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები ერთმანეთს შეხვდებიან გერმანიის ტერიტორიაზე. სწორედ ეს იქნება ჩვენი სრული გამარჯვების დღე.

(„იზვესტია“, 1 ნოემბერი)

ყველაფერი მზერზე საბოლოო გამარჯვებისათვის

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გასულ და მომავალ წლისთავებს შორის განვლილი პერიოდი აღინიშნულია წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის მიერ ჰიტლერელ ოკუპანტებზე მოპოვებული გრანდიოზული გამარჯვებებით. ყველაზე შესანიშნავი გამარჯვებაა ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების განდევნა. ამ ბეშმარიტად ისტორიული გამარჯვების მოპოვებას ძალთა უდიდესი დაძაბვა დასჭირდა, საბჭოთა ხალხის მრავალი სახელოვანი შვილის სიცოცხლე შეეწირა.

ჩვენმა საბჭოთა, სოციალისტურმა სახელმწიფომ სამამულო ომში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოაჩინა და მთელ მსოფლიოს უჩვენა თავისი ძალა და ორგანიზებულობა, საბჭოთა სახელმწიფო სისტემის ღირსება და უპირატესობა. „ომის გაკვეთილები მოწმობენ, რომ საბჭოთა წყობილება აღმოჩნდა არა მარტო საუკეთესო ფორმა მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ორგანიზაციისა, არამედ საუკეთესო ფორმაც ომიანობის დროს მტრისადმი წინააღმდეგობის გასაწევად ხალხის მთელი ძალების მობილიზაციისა“ (ი. სტალინი).

ჩვენმა თავისუფალმა საბჭოთა სამშობლომ მტრის საშინელ მოწოლას გაუძლო და ფაშიზმს ამარცხებს იმის მეოხებით, რომ 1917 წლის ოქტომბერში, ჩვენს ქვეყანაში იმპერიალისტთა ძალაუფლება ამოვარდა ფესვებიდან. ჩვენ შეექმენით მძლავრი საბჭოთა სახელმწიფო — სსრ კავშირის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საფუძველი, ხალხთა შორის მშვიდობიანობის ბურჯი.

ჩვენმა სამშობლომ თავი გადაარჩინა, თავისი დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, თავისი ძლიერება შეიძინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეოხებით, იმის შედეგად, რომ დიდმა **ლენინმა** აღმოაჩინა და ჩვენს ხალხს **სტალინმა** ჩვენი სახელმწიფო ყველაზე ძლიერ და ყველაზე მოწინავე სახელმწიფოდ გადააქცია, მისი ხალხები ერთიან, შეხმატკბილებულ ოჯახად შეაკავშირა.

ფაშიზმთან ბრძოლა გრძელდება. ეს ბრძოლა უკვე სწარმოებს საძულველი ჰიტლერული გერმანიის მიწა-წყალზე, მიმდინარეობს პოლონეთის, ნორვეგიის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე. გმირი წითელი არმია განუწყვეტლივ მიიწევს წინ, აახლოებს მტრის საბოლოო განადგურების ჟამს, ჰიტლერელი მხეცის მისსავე საკუთარ ბუნაგში მოსპობის ჟამს. წითელი არმიის მებრძოლთა გმირობა და მხედრული გაწვრთნილობა, მის მეთაურთა მხედართთუფროსული ხელოვნება, უმაღლესი მთავარსარდლობის სიბრძნე იმის საწინდარია, რომ წითელი არმია, ინგლისა-ამერიკის ჯარებთან საბრძოლო თანამეგობრობით, წარმატებით დაამთავრებს ჰიტლერული გერმანიის განადგურების საქმეს.

ამბანაგი სტალინი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა საბჭოთა ზურგის უდიდეს მნიშვნელობას წითელი არმიის წარმატებებისათვის. იგი მიგვითითებდა, რომ წითელი არმიის წარმატებები „შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ყოფილიყო ხალხის მხარდაჭერა, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში“.

სამხედრო მრეწველობის მუშაკებმა ბევრი რამ გააკეთეს. წითელი არმიის საბრძოლო აღჭურვილისათვის. მისცეს მას საუკეთო ავტომატები, ჩინებული ტანკები, შესანიშნავი თვითმფრინავები. ახლა, როდესაც წითელი არმია საძულველი მტრის განადგურებას ამთავრებს, საჭიროა უხვად უზრუნველყოთ იგი ყველა სახეობის საბრძოლო ტექნიკით. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოგვიწოდებს:

— საბჭოთა სამეურნეო მუშაკნო, ინჟინერნო და ტექნიკოსებო! [illegible] ტი ტანკები! წარმატებით ითვისეთ საბრძოლო მანქანების ახალი ტიპები! რამდენადაც მეტი კარგი ტანკები — მით უფრო ახლოს მტერზე გამარჯვების ჟამი!

— საავიაციო ქარხნების მუშაკნო, ინჟინერნო და ტექნიკოსებო! დაუღალავად სრულყავით საბჭოთა თვითმფრინავები! მეიცით წითელ არმიას მეტი ავიაგამანადგურებლები, ბომბდამშენები!

სამხედრო ინდუსტრია, მთელი ჩვენი საბალხო მეურნეობა ეყრდნობიან მრეწველობას, ისეთ უმნი

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით

მოწინავე საამქროები და ადამიანები

თბილისის საგალანტეროო ფაბრიკა „კომსომოლკაში“ საოქტომბრო შეჯიბრების დაწყებისთანავე გაიხადა ბრძოლა პირველობისათვის. შეჯიბრების შედეგების შეჯამება ყოველდღიურად ხდებოდა.

საამქროებს შორის შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა ხელსაქმის საამქრო (უფროსი ამხ. ს. ნაკაშიძე), რომელმაც სექტემბრის დავალება 116 პროცენტით შეასრულა, ხოლო ოქტომბრისა — 120,9 პროცენტით. მეორე ადგილზეა საწნავი საამქრო (უფროსი ამხ. მ. გოგუაძე) და მესამეზე — ძაფის საამქრო. პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში საფაბრიკო პირველობა მოიპოვეს მქსოველმა თამარ ნადირაძემ და მჩითავმა ნინო მესხოფოვამ.

მთლიანად ფაბრიკის კოლექტივმა სექტემბერში გეგმა შეასრულა 103 პროცენტით, ხოლო ოქტომბერში 112,5 პროცენტით. ორი თვის განმავლობაში გაწეულია 634 მეტრი აბრეშუმის ქსოვილის ეკონომია.

პირობა შესრულებულია

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისრ საწარმოო ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები. სექტემბერში ფაბრიკის კოლექტივმა 597 მეტრი ქსოვილი დაზოგა.

კიდევ უკეთესი წარმატებები მოიპოვა ფაბრიკამ ოქტომბერში: თვიური საწარმოო დავალება 115 პროცენტით შეასრულა და, გამოჭრის ტექნიკის შემდგომი გაუმჯობესებისა და რაციონალიზაციის შედეგად 982 მეტრი ქსოვილის ეკონომია გასწია. სულ, საოქტომბრო შეჯიბრების დაწყებიდან (სექტემბერ-ოქტომბერში), ფაბრიკის კოლექტივმა ქვეყანასა და ფრონტს 1,579 მეტრი ქსოვილის ეკონომია მისცა.

საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმისას ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავზე საამქროსათვის მიეცა 1.100.000 მანეთის პროდუქცია წლიური გეგმის გადამეტებით. 1 ნოემბრისათვის შეჯამებული მასალებიდან გამოირკვა, რომ უკვე ამჟამად ფაბრიკას გეგმის გადამეტებით გამოშვებული აქვს 1,209.000 მანეთის პროდუქცია.

საწარმოო ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ინსტრუქტორი ნ. გაგნიძისა და ს. მინასიანის ავრეგატები.

ო. იოსელიანი

შაქარი გეგმის გადამეჭვეგით

ბაგარის შაქრის ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. ხოფერია, პარტბიუროს მდივანი ამხ. ურუშაძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ამბროლაშვილი) ოქტომბერში ახალ წარმატებებს მიაღწია. შაქრის გამოშვების ოქტომბრის გეგმა შესრულებულია 190 პროცენტით, ჭარხლის გადამუშავებისა — 215 პროცენტით.

ქარხნის კოლექტივმა გასწია საწვავი მასალის ეკონომია 7 პროცენტით, ელექტროენერგიისა — 8 პროცენტით, ხოლო შაქრის დანაკარგები 33 პროცენტით შეამცირა.

მახარაძელთა საჩუქარი სამშობლოს

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). სამრეწველო კომბინატმა (მმართველი ამხ. კ. კვიტაიშვილი) პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 1 ნოემბრისათვის 112 პროცენტით შეასრულა.

ასანთისა და საბნის საწარმოებმა გეგმა შეასრულეს 178,9 პროცენტით, ღვინო-არყის ქარხანამ — 143,1 პროცენტით, ფეხსაცმლის საწარმოებმა — 103,2 პროცენტით, ოვეჯისამ — 127 პროცენტით.

საშეურნეო წლის დამთავრებამდე მახარაძის სამრეწველო კომბინატი კიდევ გამოუშვებს უფასლო ფასებში 100 ათასი მანეთის პროდუქციას.

ლ. ლოლაძე

ახალგაზრდა მეჯალურგეები

(ზესტაფონი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

სადნობ საამქროში ოსტატი უეცრად ავად გახდა. მოსალოდნელი იყო სადნობი ღუმელის მოცდენა, ლითონის გამოდნობის შემცირება. მაგრამ ოსტატი შესცვალა № 9 მეტალურგიული სასწავლებლის მოსწავლე ან. ბერიძემ. მუშაობა ნორმალურად წარიმართა, ღუმელმა სრული წარმადობით იმუშავა. ასეთი შემთხვევა იშვიათი როდია: ზესტაფონის მეტალურგიული სასწავლებლის (დირექტორი ი. ხვედელიძე) მოწაფეები ივ. ტალახაძე, გ. ბეგელესიანი, კ. გოგლიჩიძე საუცხოოდ დაეუფლნენ ლითონის დნობას, მათ უკვე შეუძლიათ მესცვალონ მაღალკვალიფიციური მდნობელები და ოსტატებიც კი.

სეროზული წარმატებები მოიპოვა ამ სასწავლებელმა. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე კვარტალის მაჩვენებლებით მან მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო საქართველოში—პირველი ადგილი და მიიღო პრემია 25.000 მანეთი.

სწავლასთან ერთად ახალგაზრდა მეტალურგებმა სამ კვარტალში 2.329.000 მანეთის „პროდუქცია“ გამოუშვეს. სასწავლებელს არც ერთი ცუდოსანი არა ჰყავს, ხოლო კარგოსანთა და ფრიადოსანთა რიცხვი 83,1 პროცენტს აღწევს.

მომავალ მეტალურგებს მზრუნველობით ზრდიან, ასწავლიან და ეხმარებიან ოსტატები ამხ. გ. ცერცვაძე, დ. დევიძე, ვ. სარალიძე.

სასწავლებელში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამხედრო-ფიზიკულტურულ აღზრდას. სკოლასთან არსებობს სროლის, ხელჩართული ბრძოლის, მეკავშირეების, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჭიდაობის, მძლეოსნობის წრეები. ეს წრეები წარმატებით მუშაობენ.

იზრდებიან ახალგაზრდა მეტალურგები.

პ. ჭიოკაძე

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

შალვა შარაშენიძე

სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლთა რიგებს ამშვენებს შალვა სილოვანის-ძე შარაშენიძე.

ამხ. შარაშენიძე დაიბადა 1906 წელს სოფელ ეწერში (სამტრედიის რაიონში). საშუალო განათლება სამტრედიაში მიიღო, ხოლო 1925 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1929 წელს. ამავე წელს იწყებს მუშაობას უნივერსიტეტში. 1931 წლიდან ასპირანტია, იგზავნება ხარკოვში, ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და მუშაობს ფიზიკური ქიმიის კათედრაზე. 1935 წელს მოვლინებულ იქნა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მოემზადა დისერტაციისათვის. 1937 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე პირველმა დაიცვა დისერტაცია ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე.

1937 წელს ამხ. შარაშენიძე მიღებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში. 1937 წლიდან მუშაობს იწყებს ქიმიის ფაკულტეტის დეკანად და ფიზიკური ქიმიის კათედრის დოცენტად.

ქიმიის ფაკულტეტი მისი ხელმძღვანელობით მალე მოწინავე ფაკულტეტთა რიცხვში ჩადგა და მიიღო გარდამავალი დროშა. ამხ. შარაშენიძე ერთგული მუშაობისათვის არაერთხელ ყოფილა დაჯილდოებული.

დიდი სამამულო ომის პირველი დღიდან ამხ. შარაშენიძე ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლების დამცველთა რიგებში დგება. იგი წითელი არმიის რიგებშიც არ სწყვეტს საკვლევაძიებო მუშაობას, რის შესახებაც ჯერ კიდევ ომის პირველ წელს აღტაცებით სწერს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ ნ. ს. ციციშვილს და პროფესორ მ. ს. ბეჭაიას: „გარდა ჩემი მოვალეობის შესრულებისა, ვმუშაობ გარკვეულ საკვლევო თემაზე. მაზანი ძლიერ საინტერესოა და, ვფიქრობ, შედეგიც კარგი იქნება... თქვენ, როგორც ჩემს მასწავლებლებს და მეგობრებს, გისურვებთ ისე მოაწყოთ ფაკულტეტის მუშაობა, რომ თვითეულმა გარკვეული წვლილი შეიტანოთ ქვეყნის თავდაცვის საქმეში“.

1943 წლის აპრილში ამხ. შარაშენიძე კვლავ სწერს თავის მასწავლებლებს: „მივაღწიე ფრიად სერიოზულ შედეგს ქიმიაში. ჩემი ნაშრომი გამოყენებულია. წარმადგინეს ჯილდოზე“.

და მართლაც, სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ახალგაზრდა მეცნიერი და მეომარი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ამხ. შარაშენიძე ახლაც ბრძოლის ველზეა და შეუპოვრად იბრძვის გერმანელ ავანგარდთა წინააღმდეგ. ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში იგი სწერს: „მალე მოვუღებთ ბოლოს არამზადა ფაშისტებს და გამარჯვებენ დაბრუნდებით“. ჩვენც, მისი მეგობრები, მოუთმენლად მოველით მებრძოლი ამხანაგის დაბრუნებას და კვლავ ჩვენს კოლექტივში მუშაობას.

ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ი. ციქაძე

ნინო ნაყოფია

როცა ვერაგი მტერი თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას, ახალგაზრდა პატრიოტმა ნინო ნაყოფიამ დაეუნებით მოითხოვა ფრონტზე წასვლა. ბოლოს წადილი აუსრულდა. ნინო მეკავშირეთ ჩარიცხეს წითელ არმიის რიგებში.

1941 წლის დამლევს როსტოვის მისადგომებთან მიიღო ნინო ნაყოფიამ საბრძოლო ნათლობა. მტერი გაშმაგებით მოიწევდა წინ. იგი მოადგა დონის როსტოფს. ქალაქის დამცველი ნ ნაწილის განლაგების ტერიტორიაზე მტრის ყუმბარის ნამსხვრევებმა დააზიანეს ტელეფონის ხაზი, შეფერხდა ცეცხლის კორექტირება. საჭირო იყო ხაზის სწრაფად აღდგენა, რაც თავგანწირვას მოითხოვდა. ამ ძნელი დავალების შესრულება იკისრა ნინო ნაყოფიამ. უშიშარმა ქართველმა ქალიშვილმა მოხერხებულად მიაღწია საველე ხაზის დაზიანებულ ადგილს, შეაკეთა იგი და აღადგინა კავშირი, მაგრამ თვითონ ძმიმედ დაიჭრა.

განკურნების შემდეგ ნინო კვლავ ნაწილშია... აი დაიწყო ნოვოროსიისკისა და ტამანის ნახევარკუნძულის გაწმენდა ფაშისტი არამზადებისაგან. ეგრეთწოდებული „ცისფერი ხაზის“ გარღვევის დროს ნინო ნაყოფია ტყვიამფრქვევით იბრძვის, როგორც გვარდიის ნ ნაწილის მამაცი მეომარი. ერთ-ერთ ბრძოლაში თავისი ტყვიამფრქვევის ცეცხლით მან 18 ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურა.

მამაც ქალაშვილს გვარდიის უფროსი სერჟანტის სახელწოდება მიენიჭა. ახლა ის ნაღმსატყორცნთა ბატარიას ხელმძღვანელობდა. ამ ბატარიამ ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაიკავა პლაცდარმი ქერჩის ნახევარკუნძულზე ჩვენი დესანტის გადასხმის დროს. ბატარია ზუსტი ცეცხლით ზედიზედ სპობდა მტრის საცეცხლე წერტილს. ერთ მაღლობზე გამაგრებულ მტერს გადამწყვეტ ცეცხლქვეშ ჰქონდა მოქცეული ყოველი მეტრი მიწა...

— ლიკვიდირებულ იქნას მაღლობზე განლაგებული მტრის საცეცხლე საშუალებანი!— იყო სარდლობის ბრძანება.

ნინო ზუსტად ასრულებს სარდლობის ბრძანებას. ღამით მისი მებრძოლები მიუახლოვდნენ მტრის გამაგრებულ რაიონს და ნაღმსატყორცნი ბატარიის გამანადგურებელი ცეცხლით მოსპეს ფაშისტთა საცეცხლე წერტილი. გარიჟრაჟზე მაღლობი აღებულ იქნა. ამ ოპერაციის დროს ნინო ნაყოფიას ბატარიამ გაფლეთა მტრის მრავალი ჯარისკაცი და ოფიცერი, წამოიყვანა ტყვეები, ამასთან მოსპო ტანკები, ბატარიამ ხელთ იგდო ვარგისი ტანკები, ნაღმსატყორცნები, ავტომანქანები, დიდალი ავტომატი, შაშხანა და სხვა დავლა.

* * *

გვარდიის უფროსი სერჟანტი ნ. ნაყოფია ქ. გალის მკვიდრი მცხოვრებია. დაიბადა 1925 წელს. გალის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ წითელ არმიის რიგებშია.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის, გულოდობისა და მამაცობისათვის ნინო ბარდღუსასული ნაყოფია დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და წარდგენილია ახალ ჯილდოზე.

ტ. გელენავა.

სოფლის სავაჭრო ქსელი უკეთესად უნდა მუშაობდეს

ამ დღეებში საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა და ცეკავშირის პრეზიდიუმმა თბილისში მოიწვიეს ავტონომიურ რესპუბლიკათა ვაჭრობის სახალხო კომისრების, რაიაღმასკომების ვაჭრობის განყოფილებათა გამგეების, საოლქო და რაიონულ კოოპერატიულ კავშირთა თავმჯდომარეების რესპუბლიკური თათბირი.

თათბირმა მოისმინა ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. მ. ნარსიას მოხსენება სოფლად სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია სამამულო ომის პერიოდში წარმატებით ასრულებს სავაჭრო-საწარმოო დავალებებს. მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა სამომხმარებლო კოოპერაციამ საქონელბრუნვის დარგში 112,9 პროცენტით შეასრულა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების დარგში — 144,9 პროცენტით, ფართო მოხმარების საგნების გამოშვების დარგში — 156,4 პროცენტით. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემამ შესამჩნევად გაუმჯობესა მუშაობა მოსახლეობის მომარაგების დარგში.

— სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას, — სთქვა შემდეგ მომხსენებელმა, — ჯერ კიდევ ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებები. ბევრგან მოუწესრიგებელია სოფლის აქტივის, წითელარმიელთა ოჯახების და სამამულო ომის ინვალიდთა მომარაგება. ჩამორჩენილია საქონლის ფონდის ათვისებაში. კოოპერაციის რაიონული კავშირების ხელმძღვანელებსა და სასოფლო ქსელის მუშაკებს ზოგჯერ, ტრანსპორტის სიმცირის მიზეზებით, დროულად არ გააქვთ საქონლის გამოყოფილი ფონდები. მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში საწყობებიდან მიუღებელი და სავაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ გაუტანელი დარჩა 2.300.600 მანეთის ბამბის ქსოვილი, 541.600 მანეთის აბრეშუმის ქსოვილი და 161.000 მანეთის ტრიკოტაჟი. იშვიათი არ არის სატალონო სისტემის დარღვევის შემთხვევები და საქონლის სიით გაცემის ფაქტები. საჩჩერის რაიაღმასკომის ვაჭრობის განყოფილება (გამგე აბეანდაძე) ტალონებს იძლეოდა განუსაზღვრელად, არა ორგანიზაციებზე, არამედ ცალკეულ პიროვნებებზე.

ამ ბოლო დროს სავაჭრო ქსელში იშვიათად აწყობენ მოულოდნელ რევიზიებს. ეს გარემოება კი ხელს უწყობს გაფლანგვებს და სახელმწიფო ქონების მითვისების შემთხვევათა გაჩენირებას. გურჯაანის რაიკოოპკავშირში (თავმჯდომარე პატიურაშვილი), მაგალითად, 1943 წელს 900.000 მანეთის საქონელი გაფლანგეს. ეს არ მოხდებოდა, თუ ადგილობრივ საკონტროლო მუშაობა სანდოდ ეწარმოებოდა, რომ ყოფილიყო [illegible].

სამომხმარებლო კოოპერაციამ მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების საქონლის დამზადების წლიური გეგმა 9 თვეში შეასრულა. გამოშვებულია 21.363.000 მანეთის ფართო მოხმარების საქონელი. ამავე დროს მთელი რიგი რაიკავშირები (ასპინძა, ბოგდანოვკა, ჩხორწყუ) არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელ საწარმოებს.

შემდეგ მომხსენებელმა დაახასიათა მოწინავე კოოპერატიული სავაჭროების მუშაობა. სანიმუშოდ მუშაობენ სიღნაღის საპროდუქტო მაღაზია, სიღნაღის რაიმაღაზია, გორის, ბორჩალოს, თეთრი წყაროს რაიკოოპკავშირები და სხვ. გორისა და თეთრი წყაროს რაიკოოპკავშირებმა რესპუბლიკური გარდამავალი დროშაც მიიღეს. მოწინავე სავაჭროებსა და რაიკოოპკავშირებს უნდა გაუსწორდნენ სხვებიც. სოფლის სავაჭრო ქსელი სანიმუშოდ უნდა მუშაობდეს.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მელიამ (აჯარა), ჭიჭინაძემ (თეთრი წყარო), ბოკუჩავამ (ზუგდიდი), პატარიძემ (ტყიბული), ლოხოვამ (სამხრეთ ოსეთი), ფრანგიშვილმა (სამტრედია), პიტიურაშვილმა (გურჯაანი.) გელაშვილმა (ონჯიკიძე), ყუტალაძემ (ჩოხატაური) და სხვ. — სულ 22 კაცმა.

კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ რა მუშაობა ჩაატარეს, რა მიღწევები, რა ნაკლოვანებები. რა გამოცდილება აქვთ და მოითხოვდნენ, რომ ცეკავშირმა გააძლიეროს სოფლის სავაჭრო ქსელისადმი ხელმძღვანელობა. მოკამათენი მკვეთრად აკრიტიკებდნენ „გლავსოლის“ საქართველოს კანტორისა და „ზაგოტზერნოს“ მუშაობას.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. კიკნაძე (სავაჭრო ინსპექცია), ხუციშვილი („გლავსოლის“ საქართველოს კანტორის მმართველი), სტალია (სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის მმართველი), წვერავა (ცეკავშირის პრეზიდიუმის წევრი, სავაჭრო სამმართველოს უფროსი) და კუჭუხიძე (საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე).

სავაჭრო ქსელის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მ. ჯალმა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ბუჯიაშვილმა.

გორის რაიონმა თესვის გეგმა შეასრულა

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად გორის რაიონის კოლმეურნეობებმა 1 ნოემბრისათვის 100,4 პროცენტით შეასრულეს თესვის სახელმწიფო გეგმა. დათესილია 17.151 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17.100 ჰექტარისა.

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი ბ. მიხანაშვილი
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ბუჯიაშვილი

მარგარინის ქარხნის კოლექტივის გამარჯვება

თბილისის მარგარინის ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. სააკიანი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ლალიაშვილი) წლიური საწარმოო დავალება ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულა. 31 ოქტომბრისათვის ქარხნის კოლექტივს ცხიმეულის გამოშვების წლიური დავალება შესრულებული ჰქონდა 100,2 პროცენტით.

ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა იკისრეს ნოემბრისა და დეკემბერში ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცენ რამდენიმე ასი ტონა ცხიმეული.

2 თვით და 6 დღით ადრე

ფოთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა (დირექტორი ამხ. კოკაია, პარტორგი ამხ. ჯაში, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბერიშვილი) მიმდინარე წლის საწარმოო დავალებები ვადაზე 2 თვით და 6 დღით ადრე—25 ოქტომბრისათვის შეასრულეს. შეშის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 107,2 პროცენტით, სასაქმო მერქნის დამზადების გეგმა—100,3 პროცენტით. ტყიდან შეშის გამოტანის წლიური დავალება შესრულებულია 100,1 პროცენტით, ხოლო სასაქმო მერქნის გამოტანისა—101,5 პროცენტით.

რაციონალიზაციორები, მუშა-გამომგონებლები და მათთან მუშაობის საკითხები

(თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის გამოცდილებიდან)

„ოქროს ფონდის“ შემქმნელნი. სამამულო ომის პერიოდში რაციონალიზაციამ და გამომგონებლობამ უდიდესი სამსახური გაუწია საქართველოს მრეწველობას. ძალი და დიდმნიშვნელოვანი საწარმოო სობლემების გადაჭრაში, რომლებიც მის წინაშე დასდა. ყველას ახსოვს 1942 წლის ზაბიძე თვეები. მიმოსვლა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სამრეწველო რაიონებთან, დიდ ინდუსტრიულ ცენტრებთან უაღრესად გაძნელებული იყო. მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეტალები, რომლებსაც ჩვენი საწარმოები ამ ინდუსტრიული ცენტრებიდან იღებდნენ, აღარ ოდიოდა. უამდეტალებოდ კი შეუძლებელი ა ან პროდუქციის მასობრივად გამოშვება, ბაც მოითხოვდა ფრონტი, ქვეყანა, მტრის ინაღმდეგ მებრძოლი წითელი არმიის გადასროვების ინტერესი.

გარდა დეტალებისა საქართველოს მრეწველობა მოკავშირე რესპუბლიკების სამრეწველო ცენტრებიდან იღებდა მრავალი სახელოდების სხვა მასალებსაც — ნედლეულისა და ბეკვარფაბრიკატების სახით. ამ მასალების �dაც შესწყდა.

ეს ადგა საკითხი იმის შესახებ, რომ რადაც ეძდა დამჯდარიყო, ადგილობრივ მოგვეგვაებინა დეტალების სერიული გამოშვება და ამავე დროს გამოგვეხახა სრულფასოვანი შემეფლება იმ ნედლი მასალისა, რომელიც ქვეყნში მეტად დეფიციტური იყო და ანაც ენ სხვა ადგილებიდან მოგვეწოდა. ბაბინ ამომეფიენა მთელი ძალით მასების შემოქმედებითი ინიციატივა. ჩვენმა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა არა თუ შესძლეს ბრივე ამ პრობლემის მოგვარება, არა თუ ოაწყვეტინეს დეტალების მასობრივი გამოშვება, იმოვნეს შემცვლელი, სრულფასოვანი ნედლეული და ამ მხრივ ფართოდ გამოიყენეს ადგილობრივი რესურსები, არამედ შეჭქმნეს ახალი რამ, საბჭოთა ინდუსტრიული ტექნიკა გამდიდრეს ახალი გამოგონებებით. მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემოქმედებითმა აზრმა, ინიციატივამ და პატრიოტულმა თავდადებამ ჩვენი მრეწველობის „ოქროს ფონდი“ გამოუყენებელი შესაძლებლობანი, ადგილობრივი რესურსები გამოავლინა, ახალი ტექნიკური საშუალებები შეჰქმნა.

ათვისეს 700-ზე მეტი დეტალის წარმოება. ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა ჩვენმა ავტოტრანსპორტმა ამერ-კავკასიის კარიბჭესთან მოჭრილი მტრის ურდოების გაანადგურების საქმეში, ხოლო ავტოტრანსპორტს გამართულად და შეუფერებლად მუშაობაში უდიდესი წვლილი მიუძღვის თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივს.

ავტომობილს მცოდნე ტექნიკოსებმა იციან, რომ ჩვეულებრივს საბარგო ავტომობილს 20.000 დეტალი აქვს. ერთი მათგანიც რომ გაფუჭდეს, ან ცოტა გაიცვითოს, დაუყოვნებლივ საჭიროა მისი შეკეთება, რესტავრაცია. უამისოდ ავტომობილი ვერ იმუშავებს. თბილისის ავტოსარემონტო ქარხანას დავალებული ჰქონდა მთელი ავტოტრანსპორტი უზრუნველეყო დეტალებით, სწრაფი შეკეთებით, და ფრონტიდან დაბრუნებული, დაზიანებული და დაუქმებული ავტომობილები კვლავ ჩაეყენებინა მოძრავ კოლონათა წყებაში.

ეს უაღრესად რთული ამოცანა იყო. დეტალების მზა მარაგი, რაც ამ ქარხანას მოეპოვებოდა, ან სხვაგან იყო, მაგრ ამოიწურა. საჭირო შეიქნა ამ დეტალების ადგილობრივ დამზადება, მათ სერიულ გამოშვებაზე გადასვლა.

საამისოდ ბევრი რამ არის საჭირო—სპეციალური დაზგები, ნედლეული, კვალიფიციური მუშები, კონსტრუქტორები. ავტომობილის დგუშის გამოშვებისათვის, მაგალითად, საჭიროა 50 ტექნიკური ოპერაციის შესრულება. სპეციალურ საწარმოში, სადაც მხოლოდ ამ დგუშებს ამზადებენ, საამისოდ 50 სხვადასხვა დაზგა დგას და თვითეულ დაზგაზე თითო ოპერაცია სრულდება.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში კი დგუშების გამოშვება გთვალისწინებული არ ყოფილა და არც ერთი ასეთი დაზგა იქ არა აქვთ. მაგრამ ვითარება შეიცვალა და დგუშების გამოშვება აუცილებლად საჭირო გახდა.

ქარხნის მთავარი ინჟინრის კაბინეტში მოიწვიეს ქარხნის რაციონალიზატორები, მუშა-გამომგონებლები, სპეციალისტები, კვალიფიციური მუშები. აუხსნეს მდგომარეობა, განუმარტეს ამოცანის მნიშვნელობა და მოსთხოვეს წინადადებების შემოტანა. ამ ღონისძიებამ მალე გამოიღო ნაყოფი. შემოვიდა მრავალი წინადადება, რომლებიც განიხილა ქარხნის ტექნიკურ განყოფილებასთან ჩამოყალიბებულმა სპეციალურმა ტექნიკურმა საბჭომ. შემოსულ წინადადებათა საფუძველზე ჩვეულებრივს ვერტიკალურ სარანდავ დაზგებზე ბოაწესრიგეს დგუშების წარმოება. მართალია, შრომის ნაყოფიერება ამ დაზგებზე ნაკლებია, ვიდრე სპეციალურ დაზგებზე იქნებოდა, მაგრამ, თუ შორი მანძილიდან დეტალების გადმოზიდვასთან დაკავშირებულ სატრანსპორტო ხარჯებს და დროის ხარჯვას მივიღებთ მხედველობაში, ეს დიდი, მეტად დადებითი ღონისძიება მიღწევა იყო.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ მხოლოდ ერთი დეტალის—ავტომობილის დგუშის ტექნიკურად ათვისების მაგალითი. იგივე შეიძლება ითქვას აუარებელ სხვა საავტომობილო დეტალზეც. სამამულო ომის წლების მანძილზე თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში ათვისებულია 700-მდე სახელწოდების სხვადასხვა დეტალის სერიული გამოშვება, უმთავრესად შემცვლელი ნედლეულისაგან.

სიზუსტის მაღალი კლასი. ავტომობილის დეტალთა წარმოება უაღრეს სიზუსტეს მოითხოვს. მეათასედი მილიმეტრიც კი აქ დეტალს უვარგისს გახდის. რადგანაც ამ ქარხანაში თითქოს ყველა საკითხი, რაც დეტალების გამოშვებასთან იყო დაკავშირებული, მოწესრიგებულად მიიჩნდათ, გამოირკვა, რომ დაზგებზე დეტალების გამომუშავებისას მილიმიკრონებით ზომების დაცვა ძნელი იყო. ამ საკითხზეც საჭირო გახდა რაციონალიზატორების დახმარება. მჭედელმა დ. ჩიმჩიურმა, ინჟინერმა შ. ჯინჯარაძემ, კონსტრუქტორმა ლ. გუდელმა და ქარხნის მთელმა რიგმა რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა ამ მხრივაც გამონახეს გამოსავალი, უაღრესი სიზუსტის დაცვის ტექნიკური საშუალებები. გამონახეს და შეიმუშავეს მუდმივი შტამპები და გააკეთეს სხვა საჭირო ხელსაწყოები.

ქარხნის რაციონალიზატორებმა მრავალი სიახლე და სიმარტივე შეიტანეს საავტომობილო მრეწველობაში. კარბოლიტის აკუმულატორების წარმოება, მაგალითად, ამ ქარხანაში პირველად იქნა მოგვარებული, და ეს საავტომობილო მრეწველობაში მნიშვნელოვან სიახლედ არის მიჩნეული. დეტალების ე. წ. ლითონიზაციაც ეოლტას რკალის საშუალებით აქ პირველად შემოიღეს. ავტომობილის წამყვანი კოხუსისები ღერძის გამოჩარხვის ახალი წესიც აქ გამონახეს.

ქარხნის რაციონალიზატორებმა გამონახეს ბრინჯაოს, თითბრის, მთელი რიგი სხვა იშვიათი ლითონების შემცვლელი ეფექტური მასალები, რომლებიც დიდი რაოდენობით მოიპოვება საქართველოში.

გოლნებამახვილი ადამიანები. თბილისის ავტომობილთა სარემონტო ქარხნის კოლექტივი დამსახურებულად ამაყობს თავისი შესანიშნავი მიღწევებით, ამაყობს იმით, რომ დიდი განსაცდელისა და გაჭირვების ჟამს იგი საშობლოს გამოადგა, გაამართლა საბჭოთა ხალხის, ჩვენი პარტიის მიერ მასზე დამყარებული იმედები. მაგრამ ავტოსარემონტო ქარხანა როდია საქართველოს ინდუსტრიის ისეთი ობიექტი, რომელიც ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს. ისევე, როგორც ავტომეარემონტებმა, ახალი მიღწევები, მუშაობის მაღალი კულტურა ნიმუშები მოგვცეს მეორთქმლმავლებმა, ვაგონმშენებლებმა, მანქანათმშენებლებმა და დაზგათმშენებლებმა. მთელს საბჭოთა კავშირში ახლა ცნობილი სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველის შაკრო ნადირაძის მიერ გამომუშავებული მეთოდი თუჯის შედუღებისა.

ასეთივე სახელოვანი ადამიანები ბლომად ჰყავთ ავტოსარემონტო ქარხანაში, ასზე მეტი რაციონალიზატორი და გამომგონებელი მუშაობს აქ იმისათვის, რომ შემდგომი გაუმჯობესება შეიტანონ ავტომობილების აღდგენისა და რემონტის რთულ საქმეში.

ინჟინერი შ. ჯინჯარაძე, კონსტრუქტორი გიჩავა, ოსტატი ივ. ბზარაშვილი, კონსტრუქტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი ვ. ფაროლდი, ინჟინრები მაღალაშვილი, ქოქოსაშვილი, ბაბლუმოვი, ვინოკური, მჭედელი ჩიმჩიური და მათთან ერთად 60-ზე მეტი სხვა მუშა-რაციონალიზატორი შეუსვენებლივ იმის ფიქრში არიან, თუ რა ახალი გამოგონებით და გაუმჯობესებით დაეხმარონ საწარმოს მის წინაშე მდგარი რთული საწარმოო ამოცანების გადაჭრაში.

რაციონალიზატორებისა და მუშა-გამომგონებლების ყოველდღიური ხელმძღვანელობა, მათთვის რჩევა-დარიგების მიცემა, საწარმოო პრობლემათა თემატიკის დამუშავება აქ დაევალებული აქვს ტექნიკურ საბჭოს, რომელსაც ქარხნის მთავარი ინჟინერი ამხ. ა. დიაკოვი ხელმძღვანელობს. მის კაბინეტში ორ დღეში ერთხელ იკრიბებიან რაციონალიზატორები, ეცნობიან მუშაობის პროცესში წამოჭრილ ახალ საკითხებს. ასეთი თათბირების ორ დღეში ერთხელ მოწვევა საჭირო გახდა იმის გამო, რომ ქარხანაში დაიწყეს ამორტიზირებული ავტომანქანების მთელ რიგ დეტალთა და მეტად საპასუხისმგებლო ნაწილთა რესტავრირება. ეს საქმე მით უფრო გართულებული, რომ ამორტიზირებული მანქანები სხვადასხვა მარკებისაა.

რაციონალიზატორებთან ყოველდღიური მუშაობის შედეგად ქარხანაში მიღწეულია ისეთი მდგომარეობა, რომ ყოველთვიურად ათობით ახალი რაციონალიზატორული წინადადება შემოდის და მათგან დიდი ემეტესობა დაუყოვნებლივ ხორციელდება. მარტო მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში ქარხნის მუშათა მიერ შემოტანილი რაციონალიზატორული წინადადებების განხორციელების შედეგად უკვე მიღებულია 250.000 მანეთის ეკონომია. უნდა ითქვას, რომ ეს თანხა არ იძლევა სრულ წარმოდგ





შორეულ ჩრდილო-აღმოსავლეთში, ტაიგაში მდინარეების კოლიმისა და ინდიგირკის ახლოს იქმნება ოქროს მოპოვების ახალი საწარმოები. საწარმოში, სადაც უფროსად არის ამხ. ტარასოვი, დადგმულია მძლავრი აგრეგატები ოქროს მოსაპოვებლად. ფოტო ს. ბოლდირევისა

განთავისუფლებულ დონბასში. ტრესტ „სტალინუგოლის“ მეშახტეთა აღდგენილი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის ხედი.

ფოტო გ. უგრინოვიჩისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

დეპეშები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 1 ნოემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

31 ოქტომბერს მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა მძიმე ბრძოლები რკინიგზის შტოზე, რომელიც ზეიდ-ბეველანდს კუნძულ ვალჰერენთან აერთებს. აუდენბოსსა და ბრედას შუა მდებარე რაიონში მოკავშირეთა ჯარები წყლის ზღუდეს მიადგნენ და მდინარე გადალახეს აუდენბოსის ჩრდილოეთით და დორდრეხტისაკენ მიმავალი მაგისტრალის რაიონში, ბრედას ჩრდილო-დასავლეთით. კაპელეს ჩრდილოეთით მოკავშირეები მდინარე მაასს მიადგნენ. დაკავებულია რაამსდონკი, სპრანგი და ვაალვეიკი. სამხრეთ-აღმოსავლეთ ჰოლანდიაში სწარმოებდა მძიმე ბრძოლები ლიესელის მიდამოებში. მოწინააღმდეგე განდევნილია ქალაქიდან.

31 ოქტომბერს ღამით მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ კელნს. მოკავშირეთა ჯარებმა გასტეხეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და შევიდნენ სენ-ბენუაში რომბერვილიეს აღმოსავლეთით.

ლონდონი, 2 ნოემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა 1 ნოემბერს დილით დესანტი გადასხეს ვალჰერენის კუნძულზე და იქ ორი მტკიცე პლაცდარმი შეჰქმნეს. სანაპიროს რამდენიმე მილი და ქალაქ ფლისინგენის მნიშვნელოვანი ნაწილი მოკავშირეთა ხელშია.

ფლისინგენში მოკავშირეთა სახმელეთო ჯარების დამკვრელი რაზმები შელდის შესართავის სამხრეთი ნაპირიდან გაჩაღებული ცეცხლის საფარქვეშ გადასხდნენ. ინგლისის საზღვაო ქვეითმა ჯარმა ინგლისის ხომალდების ცეცხლის საფარქვეშ და მსუბუქ სამხედრო-საზღვაო ძალთა დახმარებით პლაცდარმი დაიკავა დასავლეთ კაპელესთან. ბეველანდ-ვალჰერენის ჯგებირის დასავლეთ ბოლოსთან გაგაფთრებული ბრძოლები გრძელდება. მოკავშირეთა ჯარები ბრძოლებს ეწევიან კნოკეში შელდაზე. სლაისი და დასავლეთი კაპელე გაწმენდილია მტრისაგან. მდინარე მარკის მოკავშირეთა გადასასვლელების რაიონში გაგაფთრებული ბრძოლები სწარმოებდა. რამდენადმე უფრო აღმოსავლეთით მოკავშირეებმა პლაცდარმი გაიფართოეს მდინარე მაასის სამხრეთ ნაპირზე კაპელეს რაიონში. ლიესელის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა კვლავ წინ წაიწიეს.

ნასის ჩრდილოეთით მტერი განდევნილია ლეტრიკურიდან და აპოკურიდან.

მოკავშირეთა ავიაციამ სასტიკად დაბომბა მოწინააღმდეგის ობიექტები რურის ოლქსა და ჰოლანდიაში. მსუბუქი ბომბდამშენები თავს დაესხნენ კელნსა და ბერლინს.

საომარი მოქმედების ხელთაშუა ზღვის ასპარეზზე

ლონდონი, 1 ნოემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ ფრონტის ადრიატიკის სექტორში მე-8 არმიის ნაწილებმა გააფართოეს და გაამაგრეს თავიანთი პლაცდარმი მდინარე რონკოზე და მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ქალაქი მელდოლა (რონკოს დასავლეთ ნაპირზე). ბოლონიის სამხრეთით მე-5 არმიის ამერიკელთა ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის მთელი რიგი გაგაფთრებული იერიშები და დიდი ზარალი მიაყენეს მას. ფრონტის სხვა უბნებზე იტალიაში ოპერაციები შეზღუდული იყო პატრულირებითა და ორივე მხრიდან არტილერიის სროლით.

საბერძნეთში ინგლისელთა პატრულები სალონიკს მიადგნენ. გრძელდება მოკავშირეთა ჯარების ოპერაციები ქალაქ კოზანის ჩრდილოეთით.

ხმელთაშუა ზღვის ავიაციამ დაახლოებით 1.000 თვითმფრინავგადაფრენა მოახდინა.

ინგლისის ჯარები სალონიკში შევიდნენ

ლონდონი, 2 ნოემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ 1 ნოემბერს ინგლისის ჯარები სალონიკში შევიდნენ. ინგლისელთა პატრულები ბრძოლას ეწევიან მოწინააღმდეგესთან ამ ქალაქის ჩრდილოეთით.

იტალიაში მე-8 არმიის ინდოელთა ნაწილები, რომლებიც ჩრდილოეთით უტევენ მდინარეებს რაბსა და რონკოს შუა, გავიდნენ ხიდწინა სიმაგრესთან, რომელიც ამ არმიის სხვა ნაწილებმა შეჰქმნეს ქალაქ მელდოლის მახლობლად. ამერიკელთა ნაწილები 8½ მილზე იმყოფებიან ბოლონიიდან. სხვა სექტორებში საომარი ოპერაციები პატრულების მოქმედებით განისაზღვრებოდა.

მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთი ავიაგამანადგურებელთა თანხლებით 1 ნოემბერს თავს დაესხა სამრეწველო ობიექტებსა და კომუნიკაციებს ვენის რაიონში. სხვა შენაერთები მოქმედებდნენ ბროდისა და ზაგრების რაიონებში (იუგოსლავია), აგრეთვე ალბანეთში, ჩრდილოეთ იტალიაში და ადრიატიკის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში.

მაური რიუემიას განცხადება

სტოკჰოლმი, 1 ნოემბერი. (საკდესი). 29 ოქტომბერს ფინეთიდან სტოკჰოლმს მოვიდა გამოჩენილი ფინელი საზოგადო მოღვაწე მაური რიუემია, რომელიც ამას წინათ გაათავისუფლეს სამხედროდან, სადაც სამ წელს დაჰყო. გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის“ თანამშრომელთან საუბარში რიუემიამ განაცხადა:

„დემოკრატია ფინეთში ჯერ კიდევ მხოლოდ სიტყვათ არსებობს. კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი. სანამ ხალხს მართლაც ექნებოდეს დემოკრატიული უფლებანი. ფინელი მუშები ამჟამად ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. ისინი გამსჭვალული არიან ენტუზიაზმით. ფართო მასებში ტანერს თითქმის არა აქვს დასაყრდენი. კომუნისტურ პარტიას, უწინარეს ყოვლისა, სურს დემოკრატიულ პარტიებთან თანამშრომლობა. სემის არჩევნები აღბათ იანვრის დამდეგს მოხდება. ახალი საზოგადოება „ფინეთი-საბჭოთა კავშირი“ მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენელთა ფართო ფრონტს ემყარება. ამ საზოგადოებაში ათასობით ადამიანი შედის. მთელს ფინეთში იქმნება საზოგადოების განყოფილებანი. ახალი საზოგადოება გამოსცემს ყოველკვირეულ გაზეთ „ანსან სანომატს“. საზოგადოება „ფინეთი-საბჭოთა კავშირის“ ხელმძღვანელთა შემადგენლობაში შედიან შვედური სახალხო პარტიის ერთერთი ხელმძღვანელი, მაგისტრი ტერგრენი, აგრეთვე მრეწველი მაქს სერგერიოსი და ფინეთის ეკონომიური წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი, მათ შორის სავაჭრო მრჩეველი ჰარიმა, დირექტორი ნიუსტენი და სხვ. საზოგადოებრიობა მოითხოვს, რათა ტანერი, რიუტი და სხვა პირები, რომლებმაც ფინეთი ამ უბედურ ომებში ჩაითრიეს, პასუხისგებაში იქნან მიცემული. ჯერ კიდევ ცოტა რამეა გაკეთებული—ფიქრობენ, რომ საზოგადოებას მისი საპატიო თავმჯდომარის პაასიკივის მეთაურობით დიდი მნიშვნელობა ექნება რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებაში“.

გერმანელ მრეწველთა დაკავშირება

სტოკჰოლმი, 1 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის“ ბერლელი კორესპონდენტი გადმოგვცემს გაზეთ „ლა სუისის“ ცნობას, რომელიც ნათქვამია:

„გერმანელი მრეწველებისა და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ურთიერთობაში სერიოზული კრიზისი დადგა „ფოლკსშტურმის“ შექმნასთან დაკავშირებით. (როგორც ცნობილია, ჰიტლერის ბრძანებით „ფოლკსშტურმში“ იწვევენ გერმანიის მთელ მამრობითს მოსახლეობას 14 წლიდან 60 წლის ასაკამდე). დაპატიმრებული არიან მთელი რიგი თვალსაჩინო გერმანელი მრეწველები. ხუთშა დაპატიმრებულმა მრეწველმა ხელისუფალთ მიმართა განცხადებით საწარმოების ასობით მფლობელთა სახელით ამ განცხადებით ისინი მოითხოვდნენ „ფოლკსშტურმის“ შესახებ კანონის შეცვლას, ვინაიდან წინა მობილიზაციებით გერმანიაში მუშა-ხელი უკვე შემცირებულია საშიშ ზომამდე. სამუშაო დღის ხანგრძლივობა მეტად დიდია, და ამიტომ მრეწველები სთვლიან, რომ მუშათა სამხედრო სწავლება მუშაობის დროს ან მუშაობის შემდეგ დიდ საფრთხეს წარმოადგენს წარმოების პროცესისათვის. გარდა ამისა, მრეწველებმა გაახსენეს, რომ ილეკი რკინის მადნის მარაგი. მრეწველებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ გერმანიის მიერ უნგრეთის ბოკსიტების დაკარგვა პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს გერმანიის სამხედრო მრეწველობისათვის. მოლაპარაკების დროს ორივე მხარე იმდენად გაცხარდა, რომ მთავრობის წარმომადგენლებმა გასცეს ბრძანება დაეპატიმრებინათ მრეწველები „თანამედროვე მდგომარეობის გაუგებლობისა და საბოტაჟისათვის“.

ჯიუტრეულებს თავს ესხმიან ოკუპირებულ რაიონებში

სტოკჰოლმი, 1 ნოემბერი. (საკდესი). შვეიცის გაზეთი „მორგონ-ტიდინგენი“ ბერლინდან იუწყება:

„ჰიმლერმა ბრძანება გასცა მიღებულ იქნას რადიკალური ზომები ნაცისტური პარტიის წევრთა დასაცავად, როდესაც ისინი მგზავრობენ. უკანასკნელ ხანებში მთ რამდენჯერმე დაესხნენ თავს ოკუპირებულ რაიონებში მოგზაურობის დროს“.

ინგლისის პრესა ესპანეთის მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 1 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ნიუს ქრონიკლმა“ გამოაქვეყნა თავისი სპეციალური კორესპონდენტის ფილიპ ჯორდანის ცნობა ბურგოსიდან (პირენეის მთები). ამ ცნობაში კორესპონდენტი, რომელიც მთელ რიგ სანაპირო პუნქტებში იყო, აცხადებს, რომ საფრანგეთის შინაგანი შეიარაღებულ ძალების შემადგენლობაში მყოფი ესპანელთა ბატალიონები ესპანეთში არ შესულან.

მეორე მხრივ, აცხადებს ჯორდანი, თვით ესპანეთში მომქმედი ესპანელი პარტიზანები ამბების განვითარებას არ ელოდებიან. ზოგ რაიონში მათ აშკარა ბრძოლა დაიწყეს. მათ დაიკავეს ქალაქი სორტი და სამი სოფელი.

„ნიუს ქრონიკლის“ კორესპონდენტი ვილიამ ფორესტი პარიზიდან იწერება, რომ ფრანკო გადამწყვეტ სამხედრო ზომებს იღებს ესპანეთში არეულობის ჩასახშობად.

პარტიზანებს მოსახლეობა დიდ დახმარებას უწევს.

ს. მიხალკოვი ქუთაისში

ქუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ქუთაისში ჩამოვიდა ცნობილი პოეტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის ერთი ავტორთაგანი სერგეი მიხალკოვი.

28 ოქტომბერს სერგეი მიხალკოვი ესტუმრა გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქციას და რედაქციის მუშაკებს გაუზიარა თავისი გამოცდილება როგორც გაზეთ „სტალინური შევარდნის“ სამხედრო კორესპონდენტმა.

რ. ბერეკაძე

„უდანაშაულო დამნაშავენი“ დუშეთის სარაიონო კლუბში

დუშეთის სარაიონო კლუბთან არსებულმა თეატრალურმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა მორიგი პრემიერა — ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, რომელიც დადგა თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრეულმა მ. თაბორიძემ. მთავარ როლებს ასრულებენ დ. შაბურიშვილი (ნეზნამოვი), ვ. ელიაშვილი (დუდუკინი), შ. თაბორიძე (კრუჩინინა), ს. ბერიძე (არინა), ვ. ელიაშვილი (შმაგა), ვ. როსტომიანი (შელავინა), ვ. გოზიტაშვილი (მუროვი), ა. ოთარაშვილი (ბილოვზოროვი) და ნ. შაბაშვილი (კორინკინა).

პრემიერას დიდძალი ხალხი დაესწრო.

მოტოციკლეტის სპორტში სრულიად-საქართველოს შეჯიბრების მონაწილენი: საქართველოს ა.ბ.ს.ოლუტური ჩემპიონი გ. ესაიანი, მოტოსპორტსმენი იაკობიძე; 50 კილომეტრიან კროსში გამარჯვებული კ. ბერუჩევი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

შეჯიბრება მოტოციკლეტის სპორტში საქართველოს პირველობა

29 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე თბილისში ჩატარდა შეჯიბრება მოტოციკლეტის სპორტში საქართველოს პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს საოკეთესო მოტოსპორტსმენებმა — გ. ესაიანმა, კ. ბერუჩევმა, ლეონავამ, იაკობიძემ და სხვ.

შეჯიბრების დასაწყისში გათამაშებულ იქნა გიტი 1.000 მეტრზე. ამ სახის სპორტში 350 კუბურ სანტიმეტრამდე მოცულობის ცილინდრიანი მანქანით პირველობა მოიპოვა უფროსმა სერჟანტმა გ. ესაიანმა, რომელმაც მანძილი გაიარა 31,72 წამში. 500 კუბურ სანტიმეტრამდე მოცულობის ცილინდრიანი მანქანით პირველ ადგილზე გამოვიდა კაპიტანი კ. ბერუჩევი (31,94 წამი).

30 ოქტომბერს გათამაშდა საგზატკეცილო მარეული 100 კილომეტრზე. მარეული გაიმართა გორის გზატკეცილზე. ეს დისტანცია პირველმა გაიარა ესაიანმა — (60 წუთი 56,5 წამი).

1 ნოემბერს გაიმართა სამოტოციკლეტო კროსი. კროსის მონაწილეებს დასავრილ ადგილზე უნდა გაეკლოთ 50 კილომეტრი. ამ სახეობის შეჯიბრებაში პირველი ადგილი დიაკვანმა ბერუჩევმა.

ამით დამთავრდა შეჯიბრება პირველობაზე მოტოციკლეტის სპორტში. შეჯიბრებებს შორის 1944 წლის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა გ. ესაიანმა. მეორე ადგილზე გავიდა კ. ბერუჩევი.

დასასრულ, 2 ნოემბერს ბერიას სახელობის მოედანზე გაიმართა შეჯიბრების მონაწილეთა პარადი.

თბილისის ცირკის პირველი პროგრამა

თბილისის ცირკმა ახალი სეზონი საინტერესო პროგრამით დაიწყო. საცირკო ხელოვნებაში ცხოველთა გაწვრთნა ყველაზე რთული დარგია. ეს დარგი პროგრამაში მდიდრად არის წარმოდგენილი. ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ალ. კორნილოვის მოჯიკავა სპილოები ახდენენ. უზარმაზარი ცხოველები ადვილად ასრულებენ რთულ ვარჯიშებს, დგებიან ცალ ფეხზე, გულმოდგინედ მუშაობენ. ა. კორნილოვი ცირკის ხელოვანთა ახალ თაობას ეკუთვნის, საბჭოთა ცირკშია აღზრდილი და დიდ ოსტატობას ამჟღავნებს. მწვრთველ ფილატოვს ორი დიდი დათვი ჰყავს. დათვები არა მარტო დადიან ორ ფეხზე და ოსტატურად აძლევენ მაყურებელს სამხედრო სალამს, არამედ მარდად ვარჯიშობენ ბურთზე და მთელ რიგ რთულ ნომრებს ასრულებენ. ჩვეულებრივი წარმატებით გამოდის კომიკი-მწვრთნელი ცხომელიძე თბილისი ძაღლებით. ყველაზე უკეთესია მისი პატარა სპილო (გადაკმული ძაღლი).

საერთო მოწონებით სარგებლობს პატარა გოგონა იტუსია, რომელიც ბენედიქტოვთან მუშაობს და რთულ სპორტულ ვარჯიშებს ასრულებს დიდი სიზუსტით, მსუბუქად და ტაროდ. ბარონენკო—ვაკი და ქალი—ცირკის ქვეშ მოძრაობაში ყოფნისას ასრულებენ რთულ სპორტულ ვარჯიშს. ეს ნომერი ორიგინალია, მაგრამ ლამაზი.

ყველა წარმატებით გამოდიან ბუფონიანები ტუმარები ლავროვები. ისინი მაყურებელს გულიანი სიცილის გამოწვევას ახერხებენ.

ბელიაკოვები ამტყორცნელი ფიცრის სპეციალურ უჩვენებენ ხტომის ნომრებს. ჯგუფი მრავალრიცხოვანია, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეწყობილან, აკლიათ გაწვრთნა, შესრულების სიზუსტე. ხუმარა ბირიუკოვი ვერ იყენებს პროგრამის ყველა შესაძლებლობას პაუზებს შესავსებად მისი გამოსვლების უმეტესი ნაწილი სასაცილო არ არის.

სეზონის მეორე პროგრამის შედგენა ცირკის დირექციამ მხედველობაში უნდა მიიღოს პირველი პროგრამის ნაკლოვანებანი. ჭირიოა პროგრამაში იყოს სალაპარაკო, საცეკვაო, მუსიკალური ნომრები.

გ. რიონელი

ლექციები

3 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში (ამიერკავკასიის ფედერაციის ქუჩა, № 2) შესდგება პროფესორ ათაბეგოვის ლექცია თემაზე: „სსრ კავშირის სამხედრო-პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა“.

თბილეთების შეძენა შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში.

3 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) მომხსენებლებისა და პროპაგანდისტებისათვის შესდგება ამხ. დ. ენუქიძის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავი“.

კინოებში

3 ნოემბერს: რუსთაველის სახელობის და ოქტომბერი—„ზოია“. დამკვრელი—„ნასრედინი ბუხარაში“. კომკავშირელი—„ვოლგა-ვოლგა“. სპარტაკი—„მზიური ველის სერენადა“. ლუქსემბურგის სახელობის—„ჯორჯი დინკი ჯაზიდან“. 26 კომისრის სახელობის — „გრიგალი“.

კონსულტაცია

4 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) ლექტორების, მომხსენებლების, პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. ფრაშენბერგის კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა — „საბჭოთა ლო ომის მიმდინარე მომენტი და სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“. (თხუთმეტი დღის მიმოხილვა).

შეესწრო თავისუფალია.

თეატრებში

3 ნოემბერს: სახელმწიფო ოპერა—„ტოსკა“. რუსთაველის სახელობის—„სირანო დე ბერჟერაკ“. მარჯანიშვილის სახელობის „ყამთაბარის ასული“, (4 ნოემბერს წარმოდგენა არ არის). გრიბოედოვის სახელობის „უკანასკნელი მსხვერპლი“. სომხური—„შეხვედრა“. ახუნდოვის სახელობის—„ლილი და მაჯნუნი“. მუსკომედიის „მზის დაბნელება“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 9 ნოემბერს, დღის 2 საათზე, სამედიცინო ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) ივდგება სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი **თამარ ვასილის-ასული ფხაკაძე** თემაზე: „ჰემოტრანსფუზიისა და ქიმიური საშუალების გამოყენებისათვის ჩირქოვანი პლევრიტის მკურნალობაში“.

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნულ არიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი მ. უგრელიძე და პროფესორი მ. კოკოჩაშვილი.

2. სამედიცინო სამსახურის მაიორი **ანატოლ რაჟდენის-ძე ტოგონიძე** თემაზე: „სათესლე ჯირკვლის და მისი დანამატის ტუბერკულოზის ქირურგიული მკურნალობის საკითხისათვის“.

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ე. ზაქარაია და პროფესორი ე. ფიფია.

შრომების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მელიქიშვილის ქ. № 16).

დირექცია

მეუღლე ვლადიმერ ცომაია იუწყება **ლინა კირილეს-ასულ ცომაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4/XI, 7 ს. გამოსვენება 5/XI, 4 ს. ვაზნის შს. 7.

მეუღლე მარიამ, შვილი ირაკლი, დები ნინო, მაშო, რძალი მარიამ იუწყებიან **პეტრე ადამის-ძე ადამაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/XI, 7 ს. გამოსვენება 4/XI, 5 ½ ს. ბარნოვის, 19.

მეუღლე სონა, შვილები გიორგი, ივანე, ვახტანგ, მარო, სიძე ვასო, რძლები იუწყებიან **ისაკი გრიგოლის-ძე მჭედლიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 4/XI, ბრძოლის, 39.

შშობლები დიმიტრი, რასოფი, დები ნინო, მარო, ძმა პლატონ ოჯახებით იუწყებიან **ვერა გოთუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/XI, 7 ს. გამოსვენება, 4/XI, 5 ს. ლენინის, 3, II შესასვლელი.

მეუღლე მარიამ, შვილი ვანო იუწყებიან **ივანე ევლამპის-ძე ზაიცევის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/XI, 7 ს. გამოსვენება 5/XI, 5 ს. გორის, 20.

მეუღლე იუდა, შვილები მერი, შოთა, ძმა ისაკი მირილაშვილი, დები რახილ, სარა იუწყებიან **რივა აბრამის-ასულ ჩიკვაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3/XI, 3 ს. გაბაშვილის, 14.

მეუღლე დარო, შვილები ნიკოლოზ, შალვა, ნინო, რძლები, სიძე ვ. ბარამიძე იუწყებიან **ანტონ შევარდენიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/XI, 7 ს. გამოსვენება 4/XI, 4 ს. ანაგის, 20.

მოქალაქე **თეოდორე ტროფიმეს-ძე კოსტილოვა**, მცხოვრებმა ორჯონიკიძის ქ. № 93, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ევდოკია დემიდეს-ასულ კოსტილოვასთან** განქორწინების შესახებ.

საქმე განხილული იქნება ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში.

დაკარგულია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის კომის მთავარი სააფთიაქო სამმართველოს თბილისის 25-ე აფთიაქის მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის — 3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო - სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 УЕ 08124

საბჭოთა კავშირში

გაიხსნა სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის მთავარი სამკითხველო დარბაზი

ლენინგრადში სამი წლის შეწყვეტის შემდეგ გაიხსნა სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის აღდგენილი მთავარი სამკითხველო დარბაზი.

ამ დარბაზს იცნობს რუსი ინტელიგენციის ბევრი თაობა. აქ ჰქმნიდა ვ. ი. ლენინი თავის წიგნს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. აქ მუშაობდნენ დიდი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები სერგნოვი, ტიმირიაზევი, პავლოვი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და სხვები.

ლენინგრადის ბლოკადის დროს წიგნსაცავის შენობას რამდენიმე ყუმბარა მოხვდა, ახლოს სკდებოდა ავიაბომბები, მაგრამ ბიბლიოთეკას მუშაობა როდი შეუწყვეტია: წიგნების გაცემა ბომბსაცავში სწარმოებდა.

დარბაზის გახსნა საზეიმო ვითარებაში მოხდა. (საკდესი).

კონკურსი საცხოვრებელი სახლების პროექტებზე

დამთავრდა კონკურსი, რომელიც რსფსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა არქიტექტურის საქმეთა სამმართველომ გამოაცხადა საცხოვრებელი სახლების საუკეთესო პროექტებზე ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებული ქალაქებისა და აღმოსავლეთი რაიონებისათვის.

შემოსული ათასი პროექტიდან ლენინგრადის, სვერდლოვსკის, დონის როსტოვის, ნოვოსიბირსკის ადგილობრივმა ჟიურებმა 360 პროექტი შეარჩიეს. მათ შორის საუკეთესოებს პრემიები მიეცემათ. ავტორებს მოსკოვს იწვევენ არქიტექტურის აკადემიკოსთა ხელმძღვანელობით პროექტებზე შემდგომი მუშაობისათვის.

წლის ბოლოს მოსკოვში მოეწყობა პრემირებული პროექტების გამოფენა. (საკდესი).

სპექტაკლები სტუდენტებისათვის

მოსკოვსა და ლენინგრადში ეწყობა სათეატრო-საკონცერტო სალაროები უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის. ეს სალაროები ყოველ დღე გასცემენ ყველა სპექტაკლისა და კონცერტის სულ მცირე ორი ათასს ბილეთს მოსკოვში და ხუთას ბილეთს ლენინგრადში. თვეში ოთხჯერ, კვირა დღეს, პოეზიისა სპექტაკლები, რომელთა მთელი ბილეთების 70 პროცენტი უზრუნველყოფილ იქნება სტუდენტთა ორგანიზაციებისათვის.

ყველა მხარესა და ოლქს მითითება მიეცა — თეატრის ბილეთების საერთო რაოდენობის სულ მცირე შვიდი პროცენტი გამოაყოფინ უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეებისათვის. (საკდესი).

ფილმ „დაუმორჩილებლების“ გადაღება

კიევის კინოსტუდიაში დამთავრდა კინოფილმ „დაუმორჩილებლების“ ნატურული გადაღებანი. ფილმი შედგენილია ბ. გორბატოვის ომავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. ეს არის პირველი მხატვრული ფილმი, რომელსაც სტუდია კიევის განთავისუფლების შემდეგ უშვებს.

სცენარის ავტორებმა (ბ. გორბატოვმა და მ. დონსკოიმ) ფილმში მთელი რიგი ახალი მოქმედი პირები შეიყვანეს — ათი მოხუცი შუშა, რომლებიც ტარასისთან ერთად დაიარებიან გერმანელთაგან ათრგზულ ადგილებში და აწყობენ წინააღმდეგობას ჰიტლერელი დამპყრობლებისადმი.

უკანასკნელ დღეებში მოხდა ორი მასობრივი გადაღება — მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტა ბაბი იარში და შეხვედრა ორი პროცესიისა — მოხუცთა ჯგუფისა ტარასის მეთაურობით, რომლებიც გერმანელთა მიერ მოკლულ თავის ამხანაგს ასაფლავებენ, და მშვიდობიან მცხოვრებთა ჯგუფისა, რომლებიც დასახვრეტად მიჰყავთ. გადაღებებში მონაწილეობდა რამდენიმე ათასი კაცი. გერმანელთა მიერ მოწყობილი სისხლისღვრის კიეველმა დამსწრეებმა დამდგმელებს მთელი რიგი ძვირფასი კონსულტაციები მისცეს. ფილმი წითელი არმიის XXVII წლისთავისათვის უნდა დამთავრდეს.

2 ნოემბერი. (საკდესი).

300 ათასი ფუსფატიანი ფეხსაცმელი გეგმის გადამეტებით

ლენინგრადის ორდენოსან ფაბრიკა „სკოროხოდის“ კოლექტივი დირსეულად ასრულებს საოქტომბრო ვალდებულებებს. 29 ოქტომბერს დამთავრდა წლიური პროგრამა. იანვართან შედარებით ნაწარმის გამოშვება ოქტომბერში გადიდებულია 2,5-ჯერ. შრომის ნაყოფიერებამ 20 პროცენტით იმატა.

წლის დამლევამდე სკოროხოდელები გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ 300 ათასამდე წყვილ ფეხსაცმელს. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის გმირებისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკები

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი უშვებს ორ ახალ საფოსტო მარკას. ერთერთ მათგანზე გამოსახულია სახელგანთქმული მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი საფონოვი, მეორეზე კი — საბჭოთა კავშირის გმირები კოკშოვა და პოლივანოვა.

ორივე მარკა 60 კაპიკიანი. ახალი მარკები საფოსტო ხმარებაში შემოდის. (საკდესი).

საერთაშორისო ცხოვრებიდან

ისტორიული კურიოზი

ჩვენს დროს ბევრი ამბავი და მოვლენა მეტად მალე ისტორიული წარსულის კუთვნილება ხდება. ზოგიერთი დოკუმენტი, რომელსაც არსებითად შელანი ჯერ არც კი შეშრობია, უკვე არქივის მტვერიდან ამოღებული გვიგვენება. ერთი ამგვარი დოკუმენტი ჩაუვარდათ ხელში ნორვეგიელ პატრიოტებს, რომლებიც გერმანელებისა და მათი კვისლინგელი თანამონაწილეების წინააღმდეგ იბრძვიან. შვედური გაზეთ „მორგონტიდნინგენის“ ცნობით, ეს დოკუმენტი ცხადყოფს, რომ „კვისლინგელები თავგამოდებით მუშაობდნენ რუსეთისა და პოლონეთის ზოგიერთი ოლქის კოლონიზაციის გეგმებზე“.

„პროექტი,—იუწყება გაზეთი,—გერმანელებისათვის წარუდგენია კვისლინგელ ექსპერტს საგარეო პოლიტიკის საკითხებში კონსულ სტერენს ამ გეგმის თანახმად ნორვეგია მიიღებდა მანდატს ჩრდილოეთ რუსეთზე რიბაჩის ნახევარკუნძულიდან ურალამდე; სამხრეთით ეს ოლქი ლადოგის ტბამდე გავრცელდებოდა. ამ რაიონში წესრიგისა და მყუდროების დასაცავად კვისლინგელებს განზრახული ჰქონდათ 100 ათასი კაცისაგან შემდგარი არმია ჰყოლოდათ“.

ნორვეგიელი კვისლინგელები იქითვე ამბობენ ფეხის წადგმას, საიაიც ჰიტლერის სიგიჟემ გერმანელთა ნახირი გარეკა. მათ, ეტყობა, განზრახ